„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 15. კვირა, 24 აპრილი 1905 წლისა. № 15.

შინაარსი: ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი, ს—დ—სა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.— რუსეთის ქრონიკა.—ძველი მოსაუბრენი ახალ საგანზე.—ჟურნალ გაზეთებიდან.—სიტყვა და საქმე, მაყურებელისა.—გურიის ამბები, ლ—ისა.—ქუთათურის შენიშვნები, ისოსი.—სასტუმროებისა, რესტორანებისა და ყერძო სახლებში მოსამსახურეთა კრება.—საფრანგეთის ისტორიიდან,—ანისა.

ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი.

დადგა დრო საერთო აღორძინების, საერთო გამოღვიძების, დრო, როცა სულთ მობრძავი ბიუროკრატიული რეჟიმი არსებობას ლევს, და საზოგადოების ყველა კლასები ერთი მეორის გაჯიბრებით ცდილობენ მისი მემკვიდრეობის მისაკუთრებას. საზოგადოების თვითეული ჯგუფი, კლასი, პარტია სცდილობს თავის სასარგებლოთ გამოიყენოს ბიუროკრატიის დამხობა და მის ადგილზე აგებულ ახალ, თავისუფალ სახელმწიფოში თავის ბატონობა დაამკვიდროს, თავისი ინტერესები განახორციელოს. ამ ნიადაგზე წარმოსდგა სხვა და სხვა პარტიათა შორის შეხლა შეჯახება. აი ასეთი ბრძოლაა დღეს მთელ რუსეთში, ასეთი ბრძოლაა აქაც კავკასიაში. აქაც საზოგადოების სხვა და სხვა კლასების წარმომადგენელთაც ალამაღლეს ხმა თავის ინტერესების დასაცველათ, მომავალ სახელმწიფოში თავის ინტერესების გასამტკიცებლათ. გაჩნდენ სხვა და სხვა პარტიები, რომელნიც თანამედროვე კლასთა ინტერესების მიხედვით იყოფებიან. დღევანდელ საზოგადოებაში უმთავრესათ ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე კლასი იბრძვის, ბურჟუაზია და პროლეტარიატი, მუშათა კლასი. ბურჟუაზიის გარშემო იყრის თავს ყველა ბურჟუაზიული ფრაქციები: ისინი ერთდებიან და საერთო იერიში მიაქვთ მუშათა კლასზე, მუშათა კლასი სდგას მარტო, როგორც ერთათ ერთი დამცველი ყოველგვარ დაჩაგვრისაგან, დამონებისაგან. ამიტომ ის ებრძვის არა მარტო ბიუროკრატიას, რომელსაც საყოველთაო სულთამხუთავათ გამხდარა, არამედ მთელ ბურჟუაზიულ წყობილებას, იმ წყობილებას, რომელიც დაჭირავებულთა გაყვლეფით ცხოვრობს და სუქდება, იმ წყობილებას რომელიც საფუძვლათ ედება ყოველგვარ ჩაგვრას და შევიწროებას, კლასობრივს, ეროვნულს, სქესობრივს და სხვ. ეს ორი უმთავრესი ძალა უპირდაპირდება ერთი მეორეს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს, რომელიც მანამდის არ შეწყდება, სანამ ყოველ გვარ გაყვლეფას ბოლო არ მოეღება სოციალიზმის სამეფოს განხორციელებით. პირველს გამოაქვს დროშა ეროვნული, მეორეს დროშა საერთაშორისო სოლიდარობის, ყველა მუშათა შემაერთებელი, შემაკავშირებელი, დროშა პროლეტარიატის და მასთან ერთათ მთელი კაცობრიობის გამათავისუფლებელი. აი ეს ორი დროშა, ორი მისწრაფება ეჯახება ერთი მეორეს. რას აბობს პირველი, რას ამბობს მეორე?

დღეს ჩვენში ყველასათვის ცხადია, რომ დროშა ეროვნული არ არის განსაკუთრებული თვისება მხოლოთ დაჩაგრულ ერთა. მას აყენებს და გამოაქვს ცხოვრებაში ყველა ერი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ყველა ერის ბურჟუაზია. ესევე გამოაქვს თავის ბაირაღზე წარწერილი ჩვენ, ქართველ ბურჟუაზიას და მის იდეოლოგებს. ძლიერი ბურჟუაზია აშკარათ აღიარებს თავის მისწრაფებებს. ჩვენი ბურჟუაზია კი, როგორც სუსტი და განუვითარებელი ვერ ბედავს აშკარათ და თამამათ თავის სახის გამოჩენას, აშკარათ დაუფარავათ მშრომელი ხალხისთვის ბრძოლის გამოცხადებას. მას არ შესწევს ძალა თავის ინტერესების თავისით დაცვის, მას ესაჭიროება დახმარება ხალხის, და ამიტომ თავის დროშაზე აწერს მალალ ფრაზებს: „ეროვნული ავტონომია“; და ეს ავტონომია უნდა ხალხის სახელით გაასაღოს, დაჩაგრული ერის ვითომდა მფარველობა გამოიჩინოს.

ხალხს მთავრობა ამით ახლო ეყოლება, საკუთარი პარლამენტი ექნება, საკუთარი კანონების გამომცემელი ქართველი ხალხისათვის და თუმცა ის ბურჟუაზიული იქნება, მარა ხალხის ინტერესებს მაინც უკეთ დაიცავს, ვინემ სადღაც შორს პეტერბურგში გადაკარგული პარლამენტი, სადაც ქართველებს 15-ოდე დეპუტატი თუ გვეყოლება. ეს არის დედა ძარღვი ეროვნულ ავტონომიის. ამან უნდა გვიხსნას სხვა და სხვა შევიწროებისაგან, დაამყაროს ერთაშორის სოლიდარული მოქმედება და სხვ. ასე ღიღინობენ ტკბილ ხმაზე ჩვენი ლიბერალები, ნაციონალ დემოკრატები ფედერალისტ-სოციალისტები და ძმანი მათნი.

მართლაც ბედნიერების წყაროა, ხალხის და ეროვნული კითხვის მალამოა ეროვნული ავტონომია? ვის ინტერესებს ემსახურება ის?

არავისთვის დაფარული არაა, რომ დღევანდელი საზოგადოება კლასებათაა დაყოფილი, რომ დამჩაგვრელთა და დაჩაგრულთა შორის, მდიდარ მუქთათმყოფთა და ოფლში გაწურული შრომის შვილთ შორის ღრმა გადაუვალი უფსკრული გათხრილი და რაც ერთ მათგანს მოუხდება ის მეორეს აწყენს, რაც 1-ს გააბარებს და გამდიდრებს ის 2-ს გაუვლეფს და გაალატაკებს. ამ ნაირათ ერი ერთ მთელს, გაუყოფელს არ წარმოადგენს. ის სხვა და სხვა ერთი მეორეს მოწინააღმდეგე, შეურიგებელ ელემენტებისაგან შესდგება: მაშ ვნახოთ, რომელ მათგანს ემსახურება და სდებს მალაპოს ეროვნული ავტონომია? ეროვნული ავტონომია ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ერთი ერის მეორისაგან ჩამოშორებას, და ამით მათი ერთი მეორისკენ დაპირდაპირებას. ვისთვის არის ხელსაყრელი ასეთი დაპირდაპირება? მუშა ხალხისათვის? არა და ათასჯერ არა. მუშა ხალხი, რომელი ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, ერთსა და იმავე ტაფაში იწვის, ერთსა და იმავე კაპიტალის ბატონობას ებრძვის. მასში კაპიტალი ხედავს არა ეროვნების წარმომადგენელს, არამედ მხოლოდ სამუშაო ძა-

ლის მატარებელს, და რადგან ამ მხრივ ყველა ერის შვილი თანასწორია, ისეც თანასწორათ ყვლეფს და სარგებლობს ყველას ძალღონით, განურჩევლათ მათ ეროვნებისა. მაშ რა აქვთ სხვა და სხვა ერთა მუშა ხალხს ერთმანეთში გასაყოფი, გარდა გასაჭირისა? რა აქვთ მათ ისეთი, რომლის გამო საჭირო ხდებოდეს მათი ერთმანეთის ჩამოშორება და განცალკევება? არაფერი. პირიქით მათი ინტერესი თხოულობს, ეროვნების მიუხედავათ ყველას შეერთებას, შეკავშირებას და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთო ძალით გალაშქრებას. მათ, ჭარხნის ერთ ჰერ ქვეშ მომუშავეთ, ერთათ მებრძოლთ, კარგათ ესმისთ, რომ განხეთქილება, განკერძოვება ასუსტებს მათ ძალას და ამით აძლიერებს კაპიტალის ბატონობას მათ მრომაზე. მათ სურთ მთელ-ქვეყნის პროლეტარიას შეერთება და ცხადია მათ არავითარი ეროვნული ავტონომია არ ეხსნის, არც ეინტერესება: პირიქით ეროვნული ავტონომია მათ განგებ, ხელოვნურათ აშორებს ერთი მეორესაგან, ხელოვნურათ აცალკევებს, და ამით მათ კლასობრივ შეგნებას აბნელებს, ასუსტებს და ბრძოლას უძნელებს. ცხადია ეს წინააღმდეგია ხალხის ინტერესების და, როგორც ასეთი, უნდა უარყოფილ იქნეს.

ავიღოთ ახლა სხვა კლასები. ბურჟუაზია —აი ვის უხდება და იფარავს ავტონომია. ჩვენი ბურჟუაზია სუსტია და რუსეთის კაპიტალიზმის საერთო ფერხულში გასრესას ვერ ასცდება, მის ფეხზე წამოსაყენებლათ და წელში გასამაგრებლათ საჭიროა განსაკუთრებული პრივილეგიები, განსაკუთრებული პირობები, რომელიც დაიფარავენ მას სხვა ერების ბურჟუაზიისაგან. საერთაშორისო ბრძოლა კაპიტალის, გამწვავებული კონკურენცია, რომელიც ულმობლათ სპობს და ანადგურებს სუსტ ბურჟუაზიას, ძილს უფრთხობს ჭართველ მრეწველებსაც, საფლავის კარს უჩვენებს და ვინ იცის როგორ ჰანგზე არ ათამაშებს.

ერის სახელით ივინი თხოულობენ სამშობლო მრეწველობის ხიფათისაგან გადარჩენას, მის აყვავების ხელის შეწყობას, რასაც მათი აზრით, უნდა მოყვეს მთელი ერის აყვავება და გაბედნიერება, უფრო კი, საკუთარი ბურჟუაზიის გასუქება და გამდიდრება. მართლაც თუ მომავალი თავისუფალი წყობილება ბურჟუაზიული იქნება, თუ პარლამენტში მათი წარმომადგენლები იქნება გაბატონებული—და ეს კი არავისთვის საეჭვო არაა, ცხადია—მისი გამოცემული კანონებიც ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი და დამცველი იქნება. ის შემოფარგლავს თავის „სამფლობელოს“ მაღალ სადამწყრო კედლებით და ამით შეუკრავს სხვა ერთა ბურჟუაზიას თავის სამფლებელოში მიმოსვლის გზას და შიგ თვითონ ითარეშებს, თავის ხალხზე თავის უვარგის საქონელს კარგ ფასებში გაასაღებს, თავის განუვითარებლობას ხალხის ზედ მეტ ექსპლუატაციით შეავსებს. ამ ნაირათ ბურჟუაზიისთვის ეროვნული ავტონომია არის ნიღაბ ჩამოფარებული ბურჟუაზიული ავტონომია, ავტონომია თავის ერში ბატონობის, ავტონომია თავის ხალხის უკონკურენტოთ, საკუთრათ ყველეფის და რა გასაკვირველია, რომ ის ამას ორივე ხელით ებღაუჭება ამით ის ერთს და იმავე დროს ორ კურდღელს კლავს. გარეშე მეტოქეს თავიდან იცილებს და შინაურ ბაზარზე მონოპოლისტი ხდება.

მარა ასეთ ავტონომიას მარტო ბურჟუაზია არ ნატრობს, მასთან ერთათ ამას შეტრფიან აგრეთვე ყველა მისი მსახური კლასები, ჩინოვნიკები და ბურჟუა ინტელიგენტები. საერთო რუსეთის პარლამენტში რუსეთის ბურჟუაზია გაბატონდება, ჩვენ კურთხეულ საქართველოშიც მისი კლანჭები ძლიერი იქნება. ისინი დაიყენებენ თავის ჩინოვნიკებს, მშვიდობიანობის დაცვას ჩააბარებენ თავის პოლიციელებს, დაიხმარებენ, სადაც დაჭირდებათ, თავის ინტელიგენტებს; მათ თან მოყვება თავის სამღვდელოება და ამნაირათ ბადალი ნაწილები ქართველი ერის დაიჩაგრება, უადგილოთ დარჩება. და აი ამათთვისაც საჭიროა ავტონომიურიათ მოწყობა ეროვნულ საქმეების, რომ ქართველმა ბურჟუაზიამ ეს ადგილები მათ უწყალობოს. ხალხს საკუთარი, მათ ენაზე, ტაბილათ მოლაპარაკე ჩინოვნიკები, მღვდლები და პოლიციელები ეყოლება. განა ეს ბედნიერება არ არის? ქართული ავტონომიური ეკლესია, დამოუკიდებელი სამღვდელოება... ამასაც ხალხის ინტერესები თხოულობენ. სამღვდელოებას, რომელიც ხალხის დაბრმავებას და თვალების ახვევას ემსახურება, ხალხმა უნდა საკუთარი კათოლიკოსობა დაუწესოს ჩვენი ერის სადღეგრძელოთ, რომ მან ქართულ ენაზე მიაწოდოს საზრდო სიბნელისა და უვიცობისა. ამნაირათ ეროვნული ავტონომია არის ავტონომია ბურჟუაზიის, ჩინოვნიკების, ბურჟუა-ინტელიგენციის და სამღვდელოების. აი მისი მთელი შინაარსი—აი ვინ ატარებს მის დროშას და ვინ ემსახურება მას.

ს—დ

სხვა და სხვა ამბები.

თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა შემდეგი დეპეშით მიმართეს მთავარ სამართველოს უფროსს: „თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქში გამეფებულმა უკანონობამ უმწყერკალეს ხარისხამდის მიაღწია. არსად, არც ერთ დაწესებულებაში, მოსამსახურეთა პირობები არ არის ისე შელახული, როგორც ჩვენ-სამსახურში. კანონი დავიწყებულია. სასტიკი ზომების მიღება ჩვეულებრივი მოვლენაა. მოხელის დაუკითხავათ ერთი ქალაქიდან მეორეში გადაყვანა, დამცირება, ჯარიმები და სამსახურიდან დათხოვნა ხშირ მოვლენათ გადაიქცა, რაც ჩვენს საერთო უკმაყოფილებას იწვევს. ჩვენ, ამ ოლქში მოსამსახურენი, გთხოვთ სენატორ დურნოვოს სახელობაზე გამოგზავნილი სამი თხოვნა გაზეთებში გამოაქვეყნოთ, დანიშნოთ გამოძიება და ამით ბოლო მოუღოთ ჩვენს ოლქში გამეფებულ თვითნებობას“.

—

სოფ. ტირძნისიდან ადგილობრივ გაზეთს ატყობინებენ: ამ დღეებში აქ 50 კაზაკი ამოვიდა. აღდგომის პირველ დღეს აქაურ გლეხებს და კაზაკებს შეტაკება მოუვიდათ, კაზაკებმა იარაღი იხმარეს, 7 გლეხი მოკლეს და 10 დასჭრეს. მიზეზი შეტაკებისა შემდეგი იყო: ამ დღეს მამაკაცები ეკლესიაში იყვნენ. კაზაკებმა ამით ისარგებლეს და შინდარჩენილ ქალებს მიუვარდნენ, რამაც საშინელი სისხლის ღვრა გამოიწვია. ამ ამბავმა კერძოთ ტირძნელები და საზოგადოთ მთელი ქართლი ისე ააღელვა და ააშფოთა, რომ ახალი და უფრო უარესი სისხლის ღვრა დღედღეზე მოსალოდნელია.

—

გაზ. „კავკაზში“ ვკითხულობთ: „14 აპრილს პლასტუნის ყაზახთა რაზმი, ჰოდესაულის პოპენჩენკოს უფროსობით, ზუგდიდის მაზრაში გარს შემოერტყა სარაკამის ადგილს, სადაც გლეხის სახლში იმალებოდენ აგიტატორთა ბრბოს მეთაური, საეკლესიო სკოლის მასწავლებელთა ნამყოფი დიმიტრი გეთია და სამი მისი ამხანაგი. რაზმის მოწინავე ყაზახრუსებს სახლში მყოფნი სროლით მიეგებენ. შემდეგ ატყდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა თვით გეთია. დანარჩენნი სიბნელის გამო დაიმალნენ. მოკლულს აღმოაჩნდა ბერდენის თოფი, სახელმწიფო რევოლვერი და მრავალი ბატრონა. ბრბოს დანარჩენ წევრთა შესაპყრობათ ზომებია მიღებული“.

—

სამტრედიისა და კულაშის მცხოვრებნი ძლიერ შევი-

წროვდენ, რადგან დაეკისრათ 5,500 მანეთის გადახდა მოკლულ ბოქაულის და მამასახლისის ოჯახთა სასარგებლოთ. მცხოვრებთ იშვამდგომლეს გენერალ-გუბერნატორის თავ. ორბელიანის წინაშე, მაგრამ უარი მიიღეს. შემდეგ გაიგზავნა დეპეშა ნამესტნიკ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან. მცხოვრებნი დიდათ შეშფოთებულნი და შეშინებულნი არიან იმ ხმებით, ვითომ იძულებულნი გადაახდევინონ კიდევ ის ორასი თუმანი, რომელიც ფოსტის გაძარცვის დროს წაიღეს.

—

16 აპრილს თბილისის რესტორანებისა და სასტუმროების პატრონებმა მზარეულებისა და სხვა მოსამსახურეთა თანა დასწრებით მოიხდარ, კრებაზე დაადგინეს:

1) **რვა საათის სამუშაო დღის** შესახებ: რადგანაც სხვა და სხვა რესტორან-სასტუმროებში და ქალაქის განაპირა ბაღებში მუშაობა ერთსა და იმავე დროს არა წარმოებს, ამიტომ თითოეული სასტუმროს პატრონი ვალდებულია თავის მოსამსახურებთან შეთანხმდეს კერძოთ.

2) **მოისპოს ბე, რომელსაც აღები მოსამსახურეთაგან ადგილზე დადგომის დროს თხოულობენ.**

3) **ჯამაგირის მინიმუმის დაარსება** (15 მან.) კრებამ დაადგინა: იმათ ვინც სასტუმროებში მსახურებენ 10 მან. სხვა მოსამსახურეებს, ვისაც 10 მან. ნაკლები ჯამაგირი აქვთ მიემატოთ 20%. რესტორანებსა და ბაღებში მოსამსახურეებს, რომლებშიაც ჯამაგირს არ იღებენ დაწესდეს 5 მან ჯამაგირი.

4. **წელიწადში სამჯერ ჯამაგირის მომატება.** კრებამ უარყო.

5. **დაკარგულ-გატეხილი ჭურჭლების პასუხის მგებელი არ იყოს მოსამსახურე.** კრებამ დაადგინა: ფარფორისა და შუშის ჭურჭლის ნახევარი ფასი გადახდეს, ხოლო დანარჩენის—კი სრული ღირებულება.

6. **ნისიების პასუხის მგებელი არ იყოს მოსამსახურე.** კრებამ მიიღო ეს მუხლი, მხოლოთ იმ პირობით კი, რომ თითონ მსახურებმა არ გასცენ ნისია.

7. **მიეცეს მსახურს ბინა, ორ კაცს ერთი ოთახი ან, ბინის ფული.** აღებმა დაადგინეს მიეცეთ მსახურებს ბინა, მაგრამ არა ორ-ორ კაცზე,

8. **სადილ-ვახშამი და ჩაი ხაზეინების ხარჯზე**

9) **სასადილო დროს განსაზღვრა.** კრებამ ეს მუხლები მიიღო.

10. **მოსამსახურეთა ღიღება—დათხოვნა ნოსამსახურეთა მიერ** ხაზეინებმა უარ უყვეს.

11) **წელწადში ერთი თვის თავისუფლობა ჯამაგირით და ადგილის შენახვით.** ეს მუხლი მიღებულ იქნა იმ პირობით, რომ თავისუფლება ითხოვოს იმან, ვისაც ერთი წელიწადი უმსახურია და ამ თავისუფლების დროს სხვა სამსაზურში არ შეივიდეს.

13) **ჯარიმების მოსპობა.**

14) **ზრდილობიანი მოპყრობა.**

15) **დიდ დღესასწაულებში თავისუფლება.**

16) **ფორმის ტანისამოსის მოსპობა.**

17) **ლაქიები ვალდებულნი არ არიან ჭურჭლები წმინდონ.**

18) **სამსახურში არ მიიღონ 16 წლისაზე ნაკლები.** ყველა ეს მუხლები ხაზეინების კრებამ მიიღო.

19) **მოისპოს ყულაბი და დაუბრუნდეს რაც დღემდე გადახდილია** კრებამ დაადგინა: ყულაბი მოისპოს, მაგრამ ფული არ დაუბრუნდეთ.

20) **დღემდის გადახდილი ჯარიმები უკანვე დაბრუნება** კრებამ უარყო.

21) **ჯამაგირები თვის ბოლოს მიეცეს** შეწყნარებული იქნა.

—

ს. წინანდალი (თელავ. მაზრა). ჩვენ გვატყობინებენ: 31 მარტს საუფლისწულო მამულის მუშებმა შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს სხვნებულ მამულის გამგეს:

1) რვა საათის სამუშაო დღე.

2) სამუშაო ხელფასის მომატება (დღიური მუშა—კაცები ღებულობენ 40 კ., ხოლო დედაკაცები—25 კ. თხოულობენ დედაკაცებს ეძლიოთ 50 კ., კაცებს 1 მან, აგრეთვე თვიურ მუშებს, რომელიც იღებს 11 მან., მიეცეს 20 მან., 20 მან., ამღებს-კი—25 მან.).

3) გაუქმდეს ღამ-ღამობით დარაჯობა.

4) მუშას ნება ჰქონდეს წლის განმავლობაში ერთი თვე თავისუფალი იყოს მუშაობისაგან ჯამაგირის გამოურიცხავად:

5) დაარსდეს მათი შვილებისთვის პირველ-დაწყებით სასწავლებელი, რომელშიაც აუცილებლად იყოს სამეურნო განყოფილება.

6) გაუმჯობესდეს მუშების მდგომარეობა ჰიგიენურათ და მოიწვიოს მათთვის ექიმი, ან ფერშალი.

7) შემოკლდეს პენსიის დამსახურების ვადა.

გამგემ ამაზე შემდეგი უპასუხა: მე უფლება არა მაქვს დავაკმაყოფილო თქვენი მოთხოვნები; მომეცით ერთი თვის ვადა, მივიწერები და ვნახოთ რა პასუხს შემამოთვლიანო, მანამდის კი ისევ იმუშავეთო. 2 აპრილს დაიწყეს მუშაობა რამდენიმე თვიურმა მეშამ, დანარჩენები-კი ჯერ არ ფიქრობენ მუშაობას.

—

ქ. თელავიდან გვწერენ: 29 მარტს მოხდა გაფიცვა აბრეშუმის სახვევი ქარხნის მუშებისა (ყველა ქალებმა რომლებმაც ქარხნის პატრონს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნები:

1) ათი საათის სამუშაო დღე. (დილის სვა სათიდან, საღამოს იქვსს საათამდის); ამ დროდან გამორიცხული უნდა იყოს ორი საათი—სადილისთვის და დასასვენებლათ.

2) დღიური ხელფასის მომატება.

3) აკრძალვა მუშა ქალების ცემისა და უზდელათ მოპყრობისა.

4) ქარხნის პატრონი ვალდებულია უნდაიყოს მუშაობის დროს ავათ გამხდარს—შემწეობა აღმოუჩინოს წამლით.

5) თუ მუშა ავათმყოფობის გამო ვერ დადის სამუშაოზე ეძლიოს მას დღიური ხელფასის ნახევარი ორმოცა დღის განმავლობაში.

6) კვირა—უქმე დღეებში მუშაობის მისპობა.

7) ქარხნის პატრონმა დაუყონებლივ უნდა დაითხოვოს ის მუშა, რომელიცმუშების აზრი მათვის არა ვანებელი არის

კორრესპონდენცია

ართვინის ოლქი. ეხლანდელმა მოძრაობამ ართვინის ოლქის მცხოვრებთა შორისაც იჩინა თავი. თუმცა სწავლა-განათლება აქ ნაკლებია და შეიძლება ასეც ითქვას: სულაც არაა, მაგრამ გაჭირვებამ და სიღარიბემ ყველას დაანახვა ეხლანდელი უსამართლობა. მოძრაობა დაიწყო აჭარიდან. თუმცა ჯერ ფესვები კარგათ არ გაუდგამს ხალხში ამ მოძრაობას, მაგრამ სხვებს არც ისეთი ჩამორჩებიან, რადგანაც გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ არეულობებს, უფრო გურიის ამბებს. უარი განუცხადეს მამასახლისებს არჩევანზე. აჭარი მამასახლისები ,,ბრავიტელსტვენი სტარშინები'' შეუბრალებლათ ძარცვენ ტყავს მცხოვრებთ ასე გასინჯეთ, სულ უკანასკნელი კაცი, რომელსაც არაფერი გაეგება საქმისა და არავითარი ცოდნა-სწავლა არ შესწევს—მამასახლისობისაგან იწევს; არა იმიტომ რომ მცხოვრებლებისათვის კეთილი რამე სურდეს, არამედ გამდიდრებას მოელის ქრთამებით, რაც ძალიერ გავრცელებულია აქეთ.

თითონ ართვინში კი სამწუხაროთ სიწყნარეა. რა არის ამის მიზეზი? რას ფიქრობს აჭარი ინტელიგენცია? ჩვენი ფიქრით ყველას თავისი წილი უნდა ჰქონდეს ეხლანდელ მოძრაობაში; მზა მზა რეულზე არავინ მიგვიწვევს! გახშირდა ქეიფობა და დროს ტარება. ართვინი უკეთესათ ითვლება ეხლანდელ დროში და კიდევაც გაითრგუნება მხიარულება და ქეიფობა ართვინის წარმომადგენლებმა. ერთი მხრით ქეიფობა და დროს ტარება და მეორე მხრით ტანჯვა, უსამართლობა, გაუნათლებლობა; აი სურათი დღევანდელი ართვინის ცხოვრებისა.

R—vili.

—

საჩხერე. სატყენისა და წაითურის რაიონებში 10 სოფელზე სიზოგადოება არის. თითეული სიზოგადოება შესდგება ხუთის ან ექვსის სოფლისაგან. ამ 10 სიზოგადოებაში 100 მოსახელე კლუბს ვერ ეზოვით ისეთს, რომელთაც წლის საეთვო სიზრდა მოეზოებოდეს. ბევრს ისევ ხალით დახურული ჰხედა უდგათ, რომლის შუა ადგას ფიზხის ტეტხლი უნთიათ. უმთავრესი მიზეზი მათი სიდატაკისა, უმეწაწულობაა. თითეულ მოსახლეს 2-3 ქტევა ადგილი თუ მოეზოება და ისიც სანადელო, სიდანაც მეთხუდი ბატონს უნდა მიართვას. სკუთარი მიწის უქონლობის გამო ის იძულებულია მუდამ სხვის ადგილებში იმუშაოს და მოსავლის ნახევარი ანუ თუ უგარგისი მიწაა მესამედი, ადგილის პატრონს მიუტანოს.

1 ქტევაზე, თუ კარგი მიწა არის მოვა 18 კოდი სიმინდი, თუ არა 6-8 კოდზე მეტი არ მოვა. (ჩვენებური კოდი 2 ფ, 16 გ, არის) სიმინდის საშუალო ფასი არის 1 მ. 20 კ. ამ გვარად, 1 ქტევა იძლევა 21 მ. 60 კ. აქედან ნახევარი უნის ბატრონის არის. მუშას რჩება 10 მ. 80 კ. ამის გამოკლით თესლი, ქრთამი ანუ საქადმნე, ქტევაზე უკანასკნელი 3 მ. რომელსაც ადგილის ბატრონი ახლავინებს მუშას და დაგინახავთ რომ 20 კ., დარჩება მუშის დღიური ქირა თავისის ხარჯით.

გასაკვირველია რითი სახრდოობენ წლიდან წლამდე? მაგრამ ნუთუ სახრდოობა ქვიან იმათ სახრდოობას. ნუ თუ სახრდო ეწოდება ცივ მწვადსა და წყალს, რომლითაც ისინი აკვებებიან? შრომობენ დაუსვენრათ, მაგრამ წლიდან წლამდი ისევ მშიერა რჩებიან და ამათი ნაშრომით კი მუქთა ხარები სუქდებიან. შიმშილისაგან ილპე გაწყვეტილ ხალხს უფრო და უფრო უჭირდება ცხოვრება. რამდენი წელიწადი გადის, იმდენი სხვადასხვა გადასახადი ემატება. გარდა სასულმწიფო გადასახადისა იხდიან ათას წვრილ გადასახადებს, რომელთაც ეწოდება მდედის დრამა, მწერლის ფული, სააბასულო, ტეიასი და სამხასხლოს იჯარა, ოხრის ფული და სხვა. მდედელი ატეკებს ჯვრის წერის დროს, მკვდრის გაკურთხვაზე, დამარხვაზე, ნათლობაზე, და ყოველ სიმთო წესის ასრულებაზე.

ადგილის სიმეწროვე იწვევს ხშირ დავას გლეხთა შორის; მოდავეებიც მამასახლისთან მირბიან, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მირბიდენ, მამასახლისიც რაც კი შეძლო ეკლეფვიდა მათ. აქედან მომჩივრები ბოქაულთან ან მომრიგებელ შუამავლთან გარბიდენ, მაგრამ აქ „ვაის გავეყრე უის შეეყრე“ მოსდიოდათ. ამ დროს მას გაუჩდებოდა სოფლის ,,წურბელა აბლაკატი'' და მათის შემწეობით სჯაზე მომრიგებელ მოსამართლესთან გადადიოდა, მაგრამ აქ ხომ ველარ ელირსებოდენ სჯაის დაბოლოებას! რამოდენიმე წლის განმავლობაში სულებში დაეთრეოდენ, სიაღანაც ბოლოს სრულებით გაეკლეფილნი გამოდიოდენ.

ჩვენებური გლეხის ნატვრა ყოველთვინ ამაში მდგომარეობდა რომორმე მესაკუთრე გამხდარიყო და ამით ცოტათი მაინც თავისუფლათ ეგრძნო თავი. მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელი იყო. თავისუფლების მსურველი გლეხი ჯერ ბატონის მოურავს უნდა შეიგებოდა, შემდეგ ბატონს და მერე მომრიგებელ შუამავალს. ესენი ყველა დაუზოგავთ უფლეფდენ მას და თავისუფლების მაძიებელი გლეხი ბოლოს მართლაც უფლისთერისაგან თავისუფლებოდა....

აი ერთი მაგალითი ამ გვარი გათავისუფლებისა: ერთმა ჩვენებურმა გლეხმა თავის დახსნა მოიწადინა და გაურიგდა 400 მ. რასაკვირველია ეს ფული გლეხმა სულ ივალა და გადასცა თავის ქალბატონ-ბუნიანის ვექილ-მოურავებს. მოურავებმა ფული მიიღეს, გლეხს კვიტანცია მისცეს და დაბირდენ, რომ დოკუმენტს მალე გაუგზავნიდენ. მაგრამ დრო გადიოდა და დოკუმენტს არ უკეთებდენ. გლეხმა გაბედა, ნახა ბირდაბირ ქალბატონი და სთხოვა დოკუმენტი გამოეგზავნა. კარგია—უთხრა ქალბატონმა, მაგრამ 60 მ. მაკლია, არ მოგიტანიაო. გლეხმა მოურავების კვიტანციები უჩვენა და უთხრა: მე ფული სრულად გადავეცი ამათაო. ჩვენთან არ მოუტანიათ 60 მანეთი და ის მოურავებიც ალარ მეკვს ახლა—უბრძანა ქალბატონმა. მე ვერ დავიკლებ ვერც ერთ კაპეიკს, ვისთვისაც მიგიცია ამისგე გამოსართვი და მამიტანეო. შე დალოცვილო ისინი ხომ თქვენი ვექილები იყვენ, რა ჭკმი ბრალია—მოახსენა გლეხმა. გლეხის ეს სიტყვები კნეინამ თუკადრისა და ,,ურჩი მონა'' ბიწებს გარეთ გააგდებინა. აქვე უნდა ავნიშნოთ, რომ ამ კნეინას 15000 მ. წლიური შემოსავალი აქვს მარგანეცედან.

ეინ მოსთვლის რამდენი ტანჯვა-წვალება გამოუცდია აქაურ გლეხს. მთავრობისაგან დაუნებებული მოხელე, მებატონე, მდედელი, მწერალი, მოურავი და სხვა ურიცხვი უსაქმო ვაებატონები, ყველა ამათის ნაოფლარით იკვებებოდენ და თითონ კი, ეს მშრომელი, ოფლის მდვრელი მუშა შიმშილით სულს ლაფავდა, გმირული სულგრძელობით იტანდა ყოველ უსამართლობას. მოთმინებასაც საზღვარი ქონია თურმე.

1 თებერვლიდან იზარა თავი ჩვენში გლეხთა მოძრაობამ. ათიგე სოფლებში ერთსა და იმავე დროს ამოძრავდა ხალხი. დაიწყეს თავის მოყრა; გაემართეს ბასი თავიანთ ჭარ-ვარამზე. შეიმუშავეს პირობები და წარუდგინეს მემამულეებს. აი, დახედეთ, მათი მოთხოვნანი: 1, დაგვიბრუნდეს ის ფულები, რომელიც ნაქადის გამოუიდვაში გადაგვახდევინეს, 2, მიეცეს უსასყიდლოთ ნაქადი მიწები იმათ ვისაც არ გამოუყიდნია, 3, მოგვეცეს სამუშაო უსასყიდლოთ, 4, მოგვეცეს ტყეები იმის ნახევარ ფასში რასაც აქმდინ გვახდევინებდენ და 5, მოქედოს მიწებს იჯარა იმ ზომით როგორც შეათვისოს ჩვენგანვე არჩეულმა პირებმა. ვრეოვე გამოეცხადოს მდედლებს რომ ისინი დრამის ფულს ველარ მიიღებენ. ჯვრის სწერს და სამარხს ორ მანეთს ზევით ველარ მოითხოვენ.

აირჩიეს ასეთ თავები და ათის თავები და ყოველივე საქმეს მათი შემწეობით ათავებენ. სასამართლოებს ალარ ეკარებიან, რადგან „ჩვენი დამდუპავი სასამართლოები და სასამართლოს მოხელეები არიანო'' ამბობენ. უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დღიდან, სიაღანაც ხალხმა თავის სჯაის მოწყვ-რიგება თითონ დაიწყო, ქურდებს და ცუდ კაცებს ფრთები შეეკვეცათ და თავისებურათ ველარ ფართაშობენ.

სასიამოვნო ალსანიშნავია ის, რომ ჩვენებური გლეხობა იქცევა დინჯათ და შეგნებულათ. არც ერთი ისეთი მოვლენა, როგორც მაგალითათ, დაწვა, დანგრევა, შესტომა და სხვა აქეთ არ მომხდარა. მემამულეების უმრავლესობამ გლეხებს მხარი დაუჭირა და მათთან ერთათ მოქმედობს. მხოლოთ მცირე ნაწილი, დიდი მემამულეები, გაბედენ განზე და მათაც ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა.

15 მარტს სანჩხერის რკინის გზის სადგურზე იყო მიწვეული ჩახის სახოგადოების გლეხობა. მოვიდა შორახნის მაზრის უფროსი და შეეკითხა გლეხებს: რატომ არ ამუშავებთ თავადების ადგილებსო. როგორც აქამდი ვმუშაობდით ისე ხელს არ მოგვცემს და, თუ სამეოთხედით მოგვცემენ, გამუშავებთო. იქვე იყვენ ი. წერეთლებიც, რომლებმაც ჯერ უარი განაცხადეს, მაგრამ შედეგ დათანხმდენ. მაზრის უფროსმა კითხა ხალხს—რატომ სასამართლოებს ალარ ეკარებითო. ნეტა აქანამდინაც არ გვეკვლო ჩვენდა საუბედუროთო—მიუგო ხალხმა.

27 მარტს სოფ. დურევში მოიყარეს თავი დურევის, ირტაგზის და ცხამის გლეხობამ. იქვე მიეიდენ ადგილმბრივი მემამულეები კვიტანციებით და ანაშიძეები. ხალხმა მათ განუცხადა, რომ დურევის ადგილების დაშუშავება მათ შეუძლიათ, თუ სოფლის ადგილებს მეხუთედათ და მთის ადგილებს მეექვსედათ მიეცემენ. ამზნაურებმა ჯერ უარი უთხრეს მაგრამ, როცა ხალხმა მათ ბოიკოტი გამოუცხადა და მოსამსახურეების გამოცდას დაპირდა, მაშინ ისინიც დათანხმდენ.

საჩხერე—„ქვარნალელი“.

—

სოფელი კოთელი (ჯავახეთი). ახალციხის სამხრეთ აღმოსავლეთით დევს სოფელი კოთელი. კოთელელები მაჭმადანი ქართველებია. ქართული ენელმა ჩანებულათ იცის, მაგრამ ოჯახში უმეტესათ თათრულათ დაპარაკობენ. კოთელელები ნაწყერი, სიტყვა მოხერხებული ხალხია, სიტყვა პასუხი გურულებისას ძალიან წააგავს; გაზეთების და წიგნების კითხვა ძალიან უყვარს და გათვითცნობიერება ქართველ გლეხებზე უფრო მოწეურებული აქვთ. კოთელში 100 კომლი მცხოვრებელია და ამ პატარა რიცხვიდან 60 მოწაფე დადის დაბა ბარალეთის ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელში, რომელიც 2 ვერსზე მდებარეობს ამ სოფლიდან. მეზობელი სოფლები დასახლებულია ხომხებით, ბერძნებით და თათრებით. როგორც სხვები, ისე ეს სოფლებიც დიდ გაჭირვებას ით-

მენენ. უზომო სოფლის და სახელმწიფო გადასახადებმა სუკეთესო მიწების ჩამორთმევამ, სახლზე, ტყეზე, საქონელზე და მიწაზე დადებულმა ბაჟებმა ჭკვიანი გლეხები მოთმინებიდან გამოიყვანა... შეწუვიტეს ყოველგვარი კავშირი ადმინისტრაციასთან და სამაგიეროთ მჭიდროთ შეუკავშირდენ ერთმანეთს, რადგანაც ამ„ერთობაში“ ხედვენ ერთად-ერთ მხსნელ ძალას.

—

23 მარტს, სოფელ ზაკვის და კოთელების სამოგადოებამ კრება მოახდინა რომელზედაც შეიმუშავეს შემდეგი მოთხოვნილებანი.

1) სანდელო მიწები გლეხებს უფასოთ მიეცეს.

2) მოისპოს დროებით ვალდებულ და ბატონ გლეხთა დამოკიდებულებანი.

3) სკოლების, სამინისტრო და სახელმწიფო მიწები მიეცეს სოფლის სამოგადოებას სკუთრებათ.

4) დაუბრუნდეს გლეხებს სანდელო, თუ თავის დახსნაში გადებული ფულები.

5) დაუბრუნდეს სამადლობო ფულები.

6) უსაფუძლოთ გადახდილი ფულებით დაარსდეს სოფლის ფონდი, სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებელათ..

7) სასოფლო გზების კეთება და ეკლესიის ქარაულობა დაეკისროს უფელა წოდების. ეკლესიის შენახვა მან იკისროს ვისაც სურს.

8) სავალდებულო, უფასო სწავლა-განათლება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლამდე

9) მოისპოს არა ბირდაბირი გადასახადი სბირტზე, ნავთზე, შაქარზე და სხვა. და მის მაგიერ დაწესდეს აქციზი ბირდაბირი გადასახადი შემოსავლის კვლობაზე. ვისაც 500 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ექნება [illegible] უნდა იყოს ყოველ გვარ გადასახადებისაგან.

10) გამოცხადდეს ადამიანი—ადამიანად და შემოდებული აქნას თავისუფალი მართველობა, სიყოველთაო, ბირდაბირი, დახურული და თანასწორი სარჩევნო ხმის უფლებით.

11) თავისუფლება, სიტყვის ბეჭდვის, კავშირების, სარწმუნოების, ბირონების და სცხოვრებული ბინის შეუხებლობა და სხვა. ზემო მოთხოვნილებები ზაკვის და კოთელის გლეხები შეურთდნენ რუსეთის ყველა გლეხთა მოთხოვნილებებს. ამავე კრებაზე შეთანხმდენ ორივე სოფელი დიდი ხნის სადავო მიწა „შურჩის“ შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლელების აქეს კოხტათ გაწეობილი ეკლესია, სადაც სამ წელიწადზე მეტი იქრება, რაც წირვა არა ყოფილა. საქმე იმაშია, რომ ბალადოხინი მამა ხასულოვი წუნობს ეკლესიის საპატრიაროს გამო. 100 კომლი მცხოვრებლისთვის ეკლესია სრულიადაც პატარა არაა, გადიდებას არ საჭიროებს, მაგრამ როგორც ჩანს მიზეზები სულ სხვაა: წინეთ, ამ ეკლესიის ბალადოხინათ ყოფილა მამა დავიდოვი. მამა დავიდოვს აუქულებია გლეხები ეკლესია გაედიდებია, მოუკრეფიათ 20 თუმანი და შემდეგ, საბედნიეროთ მამა დავიდოვი ფულიანათ გადაუყვანიათ. დღეს მოადგილე ბალადოხინი მამა ხასულოვია, რომლის თხოვნით გლეხებისაგან კიდევ 36 თუმანი მოუკრეფიათ, სულ 56 თუმანი. და ახლა სარჯ-დრიცხვით ახალ ეკლესიას 8 ათასი მანეთი სჭირდება!! ადრეთობული გლეხები გაიძახიან ,,ბალადოხინმა ისევ გაჭვითოროს, და არა გაგვაჭრისტიანოსო“.

ქვემოური.

—

ს. გორდი (სამეგრელო). გლეხების მოძრაობამ აქაც იჩინა თავი. ამის წინათ მოიყარეს თავი ეკლესიის მოედნის წინ რამდენიმე ათასმა კაცმა, დედების ნებართვით, გაადეს ეკლესიის კარები და ერთმანეთს შეეტაკნენ. ,,იბრძოლონ სისხლის წვეთამდის თავისუფლებისათვის“.

გაფიცვის შემდეგ გამოვიდენ ეკლესიიდან ,,ძმობა-ერთობის,, სამღერით და თავ-თავიანთ სახლისაკენ წავიდენ. ასე ამ ნაირათ გაიფიტენ ს. ნოდის, დვედის, გინჩხის, დიდ-დვაბუნის და ჟუშქის გლეხები. მეორე დღეს ზემო ჩამოთვლილ სოფლებს, სხვა სოფლებიდანაც მოუმატენ გლეხები; განდევნეს მთავრობისგან დაყენებული მექრთამე მოხელეები: მამასახლისი, მწერალი, სოფლის სუდები და სხვები. მათ მაგივრათ ხალხმა აირჩია—თითო-თავები და ასი თავები. ახალმა მმართველებმა უწინარეს ყოველისა მიეცენ ხელი ოთხი წლის გაუკეთებელი გზის კეთებას. უგზოობის გამო დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი ხალხი. გამოიწვიეს წოდების განურჩევლათ, მუშები, რომელთა რიცხვი ოთხასს სჭარბობდა, და გზები, ბუმბუას ხიდიდან გორდამდის, მშვენიერათ გაასკეთეს. (ზოგიერთმა ზნაურმა იუკადრისა მუშაობა) გაასკეთეს აგრეთვე სამეზობლო გზებიც. ხუთი წელიწადია ხიდი დანგრეული და გაფუჭებული იყო, მაგრამ დღემდის მის გასკეთებას არაფერი არ ეშველა. რამდენჯერმე სთხოვეს ბოქაულს ამ ხიდის გასკეთება, მაგრამ გულ-ფიცხმა ბოქაულმა ხიდის გასკეთების განკარგულების ნაცვლათ ტემა-ტუქმით და დანძღვა-განებით გამოისტუმრა შინისკენ მთხოვნელები. დღეს, რაც რომ ,,თავისუფლების“ შექმნა აქაც შეუოხრათ, ახალმა მმართველებმა, ბ. ბოქაულის დაუკითხავათ, მშვენიერი, მაგარი ხიდი გაასკეთებინეს.

წინეთ, როცა მამასახლისი განაგებდა სამოგადოებას, ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ხშირი იყო და ეხლა-კი, ქურდობისა და ავაზაკობის, არა-რა ისმის ჩვენს სამოგადოებაში.

ე. ი.

—

ს. წინანდალი. (თელავის მაზრა). 30 მარტს თავი მოიყარა ერთათ მთელმა წინანდლის სამოგადოებამ, რომელსაც შეადგენს ს. ქვემო-ხოდაშნის, ბუშათის და ვანქის გლეხობა. მათ ხელში ჭქონდათ ქაღალდზე აღნაშნული თავიანთ მოთხოვნილებანი, რომელიც შეამოწმებინეს მამასახლისს, შემდეგ მიმართეს მემამულეებს ხელის მოსაწერათ. ს. წინანდალში დაკეტეს კანცელარია, ხოლო ვიდრე ბეჭედს დაკრავდენ, გამოიტანეს ხემწიფეს სურათი, რომელიც კანცელარიაში ეკიდა და ლუკმა-ლუკმა აქციეს შემდეგი სიტყვებით: ეს არის ჩვენი დამდებველი, სისხლის მსმელი, მიზეზი ყოველივე უსამართლობისა და სხვ. მივიდნენ სუფთასისწულო მამულში და გამოითხოვეს აქედან ყველა მუშები და მოსამსახურეები, და უთხრეს: თქვენც უნდა მხარში ამოგვიდგეთ და ვიბრძოლოთ ერთი ძალით უსამართლობის წინააღმდეგ. ამის შემდეგ გამოუძახეს მმართველს (სუფთასისწულო მამულების) და ოხოვეს ხელი მოეწერა იმათ მოთხოვნილებებზე. უფასმა ბევრი იყოყმანა, მარა ბოლოს ისევ მოუხდა ხელის მოწერა. აი გლეხების მოთხოვნა: ვუერთდებით რა მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობას, ვთხოულობთ:

1) მოისპოს გლეხთა დროებით ვალდებულობა და ხანხობა: მათი ნაკლებია მათ უსასყიდლოთ სრულ სკუთრებათ გამოცხადდეს.

2) ყველა გლეხს დაუბრუნდეს ის მიწა-ადგილები, რომელიც მათ ჩამოეცალა ბატონ-ყმობის გაუქმების დროს. (ტყე, სანაკვეთე, წყალი და სხვ.)

3) სკოლების და სახსნაო გლეხების სკუთრებათ მიეცეს ის ადგილები, რომელიმეც დღეს ისინი სარგებლობენ.

4) მიწის დაკა არ უნდა აღემატებოდეს მთელი მოსავლის მეათედს. მემამულემ თავისი წილი თავის ხარჯით უნდა წაიღოს.

4) დაუბრუნდეს გლეხებს ის ფული, რომელიც გადახადეს თავის დახსნის, ანუ ხარჯების გადახდისათვის. ეს ფული უნდა გადახდეს სკოლების და სეუფთასისწულო მამულებს და აგრეთვე ამ თავად-ახნაურთ, რომლებმაც ამ გადასახადებით ისარგებლეს. ეგეთ ამ ფულით უნდა დაარსდეს ცალკე ფონდი სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ.

6) ამავე ფონდის მისამატებლათ გლეხებს დაუბრუნდეს სამადლობო გადასახადი სარგებლით.

7) მოისპოს უფლა ბეგარა მემამულეთა სასარგებლო, როგორც მაგალითად: ძღვნის მიტანა, გუთნის, ხარ-ურმით მოხმარება და სხვა.

8) ეკლესიის ვარაულობა დაევალოს ეკლესიას, გზების კეთება-კი უფლა წოდებას.

9) მოისპოს დრამისა და სხვა ყოველგვარი კაბასხადი მღვდლის სასარგებლოთ. ეკლესიის ხარჯი იმათ გასწიონ, ვისაც სურთ.

10) მოისპოს უფლაგვარი ბაჟები და კაბასხადები და შემოდებულ იქმნას კაბასხადი შემოსავლის ას კაპათ, ე. ი. ვისაც 500 მ. ნაკლები შემოსავალი აქვს, სრულიად განთავისუფლებული იქმნას.

11) სახელმწიფო ტეეები და სახნავი მიწები კაბაცეს გლეხთა სახოგადოებას თავის სასარგებლოთ.

12) წოდებითა გაუქმება და ფართო თვითმართველობა როგორც სოფლის, ისე მაზრის. თვით ხალხი უნდა ირჩევდეს თავის მოსამართლეთ და მმართველო და უფლიდეს თავისივე საქმეს.

13) დაწესდეს უფასო სავალდებულო პირველდაწყებითი განათლება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლამდე.

14) სრული თავისუფლება: სვინდისისა, სიტყვის, ბეჭდის, კრების, გაერთიანების და კავშირის.

15) პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელ-უხლებლობა.

16) მუდმივი ჯარის გაუქმება ხალხის და საუოველთაო შეიარაღება საჭიროებისათვის.

17) განცალკევება ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან.

18) დამფუძნებელი კრება ხალხის მიერ საუოველთაო, პირ და პირი და თანასწორი კენჭის ყრით არჩეულ პირებისაგან.

მეოცე საუკუნე.

რუსეთის ქრონიკა

სახელმწიფო საბჭომ უკვე განიხილა ფინანსთა მინისტრის წინადადება ზოგიერთი გადასახადის გადიდების შესახებ.

საბჭომ უკვლელათ მიიღო და დაამტკიცა პროექტი სპირჩაზე და ნავთის ზეთებზე არა პირდაპირი გადასახადების მომატებისა. გარდა ამისა საბჭომ დაადგინა გამოერიცხოს ჯამაგირიდან პროცენტები იმ პირთ, რომელნიც წელიწადში 600 მანეთზე მეტს იღებენ.

—

ზოგიერთ ქალაქების შეამდგომლობა შესახებ ქალაქის მილიციის დაარსებისა, მთავრობამ უყურადღებოთ დასტოვა.

—

პეტერბურგში გაიფიცენ ობუხოვის ქარხნის მუშები. გაფიცვის მიზეზათ დაასახელეს 90 ამხანაგების დატყვევება. ქარხნის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მას არავითარი უფლება არა აქვს ტუსაღების განთავისუფლებისა. მიუხედავათ ამისა მუშები განაგრძობენ გაფიცვას და მტკიცეთ ადგიან თავის მოთხოვნილებას. ამბობენ, ქარხნის ადმინისტრაციამ სთხოვა მთავრობას დატყვევებული მუშების განთავისუფლებაო.

—

პოლონეთის სოციალისტების კავშირებმა საერთოთ დაადგინეს, 1 მაისს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ და დიდებული დემონსტრაციები გამართონ.

—

ერთმა სოფლის მღვდელმა ამას წინად მოწოდებით მიმართა თავის ამხანაგებს, ამ მოწოდებაში ის უსაყვედურებს სამღვდელოებას ჩამორჩენას და უმოქმედობას. შევუერთდეთ ახლანდელ პროგრესიულ მოძრაობას, შევებრძოლოთ მაშვრალთა გაჭირვებულ მდგომარეობას და გავაღვიოთ მათ გულში სანატრელი მოშავალის იმედებიო. ჩვენ მარტო საიქიოს ცხონებას როდი უნდა ვუქადაგებდეთ ხალხს, არამედ სააქაოსაც. მოვიგონოთ ჩვენი დიდებული მოძღვარი ქრისტე და ვეცადოთ განხორციელდეს ცხოვრებაში მისი მაღალი სწავლა ძმობის და სიყვარულის შესახებაო.

—

ესტლიანდიის გუბერნიის მაზრებში ამ ბოლო დროს ავრცელებენ აუარება პროკლამაციებსა და მოწოდების ფურცლებს, რომელიც იწვევს ხალხს მასობრივ აჯანყებისკენ თანამედროვე პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ. ალაგ ალაგ გაიგზავნა ჯარები.

—

ამასწინათ მოსკოვში გაიფიცა პურის მცხობლები. მთელს მოსკოვში პურის მცხობელთა რიცხვი დაახლოვებით 30,000 უნდა უდრიდეს. უმთავრესი მოთხოვნილებები შემდეგია: 1) რვა საათის სამუშაო დღე ახლანდელი 16 საათიანი დღის მაგივრათ. 2) სამუშაო ჭირის მოხატება. 3) მუშაობის აღკვეთა კვირა და უქმე დღეებზე და სხ.

—

სორმოვოში (ნიჟეგოროდის გუბ.) 1 აპრილს სახალხო სასადილოში დოქტორ კარმანოვს წაუკითხავს ლექცია ხოლერის შესახებ. თავი მოიყარა 1000 ზე მეტმა კაცმა, უმეტეს ნაწილათ „სორმოვოს“ ქარხნების მუშებმა. თავიდანვე მუშები უნდობლათ მოეკიდენ ლექტორს. მის მიერ ნაჩვენებმა სამუალებამ („კარგი საკვები“ „ჩაი რომით“) ირონიული შენიშნვები გამოიწვია პუბლიკაში. შემდეგ ექიმს მისცეს კითხვა, რატომ ვრცელდება ეპიდემია ღარიბ ხალხში მეტი სისწრაფითო. ლექტორმა მიხვეულ-მოხვეული პასუხი მისცა. უკმაყოფილება თან-და-თან იზრდებოდა. ლექციის გათავების შემდეგ გამოვარდა ორატორი და მოკლეთ კრიტიკა უყო ლექციას; შემდეგ შეეხო მუშების მდგომარეობას: სამი ავათმყოფობა ანადგურებს რუსეთის სიზოკადოებასო, სთქვა ორატორმა, ომი, აზიელი სტუმარი—ხოლერა და შავი რაზმები, რომელთაც თვითონ პოლიცია ადგენს სხვა და სხვა ადგილებში. როცა პუბლიკა იშლებოდა, კარებში პოლიციის მოხელეები გამოჩნდა: „სცემეთ პოლიციელებსო“ დაიძახეს მუშებმა და მისცვივდენ მათ. პოლიციელები გაიქცა და იქით აქეთ მიიმალა. 40 პოლიციელმა თხოვნა შეიტანა ამ ინციდენტის გამო, სამსახურს თავი უნდა დავანებოთო.

—

კურსკის გუბერნიაში დაიწყო გლეხების აგრარული მოძრაობა. მოძრაობა დღითი დღე იზრდება და ლამის მთელ გუბერნიას მოედოს. მემამულები შიშმა შეიპყრო და არ იციან რა ზომებს მიმართონ.

—

როგორც გაზ. „ნოვ“. იუწყება, მოსკოვშიაც არსდება იმნაირი პოლიტიკური პარტია, როგორც პეტერბურგში. ამ პარტიის მიზანია ხელი შეუწყოს ომის გაგრძობას იქამდისინ, სანამ რუსები არ გაიმარჯვებენ,—მფარველობა გაუწიონ რუსეთის ძველ წყობილებას, დაამყაროს სწავლა-განათლების საქმე ვიწრო ნაციონალურ ნიადაგზე, ერთი სიტყვით ხელი შეუშალონ ახლანდელი პროგრესიულ მოძრაობას. ამ პარტიის სულის ჩამდგმელი ვიღაც ნავროცკია, რომელიც შეუსვენებლივ სწერს თავის შესაფერ ლექსებს და მოწოდებებს. ნავროცკის „თხზულებები“ კომაროვის გაზ. «სვეტის» სტამბაში იბეჭდება.

ძველი მოგაასენი ახალ საგანზე.

მეორე. პატიოსნებას გეფიცები ტყუილია, ცოცხალი ტყუილი.

პირველი. მე კი გეფიცები მართალია, ალალი მართალი.

მეორე. მაშინვე მიხვდები კაცი, რომ „მაჩაბელისტის“ დაწერილია. კილოზეც კი ეტყობა პირადი ინტერესებით რომ არის გამოწვეული.

პირველი. შეიძლება თითონ მაჩაბლის დაწერილიც იყოს, მაგრამ საქმე სინამდვილეშია. შენ ამბობ ტყუილიაო და მე გეუბნები სიმართლეა მეთქი. ან დამიმტკიცე ტყუილი რომაა ან დაიჯერე რომ სიმართლეა.

მეორე. დავიჯერო რომ ილიკოს გლეხ-კაცობა არ უყვარს? დავიჯერო რომ ის ამგვარათ ტანჯავს „თავისს“ გლეხებს?

პირველი. არა, შეიძლება სხვაგვარათაც ტანჯავდეს, მარა გაზეთის ფურცლებზე ჯერ ეხლოთ ამგვარათ იყო გამოფენილი.

მეორე. არას დროს! თქვენ „მაჩაბლისტები“ ხართ, ილიკოს პირადი მტრები. მე იმას ვერასოდეს ვერ დავიჯერებ, რომ ილიკოს გლეხები მიწაში ჩაემწყვდიოს და ზევით სახლის აგების ნებას არ აძლევდეს. ეს ტყუილია, ცილის წამებაა; სტაროსელსკიმ შეიძლება ბევრი ვარესიც ჩაიდინოს, მარა ილიკო ამას არ იზამს.

პირველი. ყოფილხარ საგურამოში?

მეორე. განა იქ ყოფნაა საჭირო? ილიკოს ნაწერები ხომ წამიკითხავს. ადამიანის პიროვნება მის ნაწერებში იხატება ნათლათ. ესეც არ იყოს დარწმუნებული ვარ, გურამიანთ-კარელ გლეხებს სკოლაც ექნებათ, კარგი სახლებიც და საკმარისი საჭმელ-სასმელიც. „მაჩაბლისტებმა“ რაც უნდათ ისა სწერონ. ვინ დაიჯერებს ილიკოს თავის სოფელში სკოლა არა აქვსო?

პირველი. ყველა იქ გამვლელი და ყველა გურამიანთ-კარელი გლეხი.

მეორე. ესეც არ იყოს ერთი საბუთი კიდევ მაქვს მაგ კორესპონდენციის წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ თქვენ „მაჩაბლისტები“ ხართ და ილიკო გეჯავრებათ.

პირველი. შენ ცდები მეგობარო! ილიკო ჩვენ სულაც არა გვძულს. პირიქით, გვიყვარს, გვიყვარს ისე, როგორც მას ბისმარკი უყვარდა, თითქმის უფრო ძლიერაც. განა შეიძლება რომ „გლახის ნაამბობის“ დამწერი...

მეორე. ვოტ, ვოტ! მეც ეს მინდოდა მეთქვა. „გლახის ნაამბობი“ ხომ კარგი დაწერილია და კარგი ამბავიც არის? ხარაშო! მწერალი ხომ ცხოვრებიდან უნდა იღებდეს ცოცხალ სურათებს? ძალიან კარგი! ახლა ერთი მიბრძანე როგორ უნდა დაეწერა ავტორს „გლახის ნაამბობი“, საგურამოში რომ „გლახა“ არ ყოფილიყო? „კაკო ყაჩაღიც“ ასე ცხოვრებიდან ამოღებული ტიპია და შთაბეჭდილებასაც იმიტომ ახდენს მკითხველზე.

პირველი. შენი აზრით ილიკომ იმიტომ დაამწყვდია გლეხები მიწურებში და იმიტომ ყავს ასეთ გასაჭირში, რომ მოსთხრობების „სიუჟეტი“ დაურჩეს და ახალ-ახალი ამბები დაწეროს გლეხ-კაცთა გაჭირვებაზე? შენ იმას ამბობ, რომ მეორე „გლახის ნაამბობი“ შეუძლია ახლა დაწეროს ილიკომ საგურამოელ გლეხთა ცხოვრებიდანო ე. ი. „გლახის ნაამბობის“ შინაარსი ახლაც შეიძლება საგურამოელ გლეხთა ცხოვრებით შეამოწმოს კაცმაო. ეს საბუთი მართლაც მხედველობაში მისაღებია და „ივერიის“ რედაქციას შეუძლია გული დაიმშვიდოს. მე მხოლოთ ერთი რამ მაწუხებს.

მეორე. უთუოთ ისა, რომ „მაჩაბლისტების“ წინაშე ილიკო მართალი გამოდის.

პირველი. მეტი სადარდელი არაფერი დამირჩა! საქმე ის არის რომ ამ ლექსის დამწერს ვარი უნდა შევუთვალოთ.

მეორე. რა ლექსია! აბა წამიკითხე!

პირველი. წაგიკითხავ, მაგრამ ვიცი შენ აქაც „მაჩაბლისტები“ მოგელანდებიან.

ჩვენს მგოსანს.

გესმის, გესმის „საზარელი“ ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,
სიმართლის ხმა მართლა გრგვინავს დასათრგუნათ მონობისა.
დღეს „გაღონებს“ თურმე ეს ხმა; გიორკეცებს დარდებს გულში
და ღმერთსა სთხოვ ეგ „მწარე“ ხმა არ გაისმას „თქვენს“ მამულში.
საშვალებაც მოგინახავს რომ აღმოფხვრა ეგ ხმა „მწარე“
საგურამოელი გლეხი გასტანჯე და გაამწარე. და სხვა-და-სხვა. ახლა ამ ლექსის ავტორს უნდა მივწეროთ: შენს ნაწარმოებს აღარ ვბეჭდავთ მეთქი.

მეორე. მერე რა უშავს მიწერე. განა ყველაფერი უნდა დაიბეჭდოს.

პირველი. ყველაფერი კი არ უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ ავტორის თავმოყვარეობა ხომ გაგიგონია: დაგვემდურება და თქვენს რედაქციაში დაიწყებს მუშაობას.

მეორე. რა მაგის პასუხია, მაგრამ ოზურგეთის მაზრის ყოფილი უფროსი რომ ლაპარაკობს ის თუ გაიგე სადმე?

პირველი. ახირებულია ღმერთმანი ზოგიერთი კაცის პრეტენზია! . ყველა იმის შემდეგ. რაც მის შესახებ გაზეთებში იწერებოდა, როგორ ბედავს და ამბობს გურულებს ვუყვარვარო, გურულები ჩემს სახელს ალმერთებენ, ჩემზე ლოკულობენო.

მეორე. საქმე იმაშია, რომ ხალხს კი არ ვძულვარ, ეს მასწავლებლებმა მომიხერხეს და მეც მარტო იმათ ვსდევნიდიო.

პირველი. მასწავლებლებმა მას მოუხერხეს თუ მან მასწავლებლებს მოუხერხა ამას შემდეგში გავიგებთ, ან რა საინტერესოა ამ «საგანზე» ლაპარაკი; შენ ის მითხარი თქვენს ჯგუფში თუ ვინმე წერს მარცხნივ წაფერდებულათ.

მეორე. რაზე დაგპირდა ახლა ეს!

პირველი. რაზე და ერთი საინტერესო წერილი მივიღეთ, ერთი საინტერესო ჯგუფისაგან ერთი საინტერესო კითხვის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ჯგუფის წარმომადგენელი გაუჯავრებია ფ. მ. წერილს გ. რ. შესახებ და სთხოვს რედაქტორს ფ. მ. გაზეთში აღარ აწერინოს ამის შემდეგაო.

მეორე. მერმე ეს ჩვენი მხრიდან გგონია გამოგზავნილი?

პირველი. ოზურგეთის მაზრის ნაუფროსალს თუ კი ჰგონია გურულები მას ალმერთებენ და მასზე ლოკულობენ, ეს რატომ არ უნდა მეგონოს?! აქ ისეთი არაფერია: იწერებიან ბ-ნ „სიტყვაზე“ და გ. რ. ნურაფერს დაწერ, მასალა სხვაც გეყოფათო. ჩვენც ალარაფერს დავწერთ მორჩა და გათავდა.

მეორე. წერით რატომაც არ უნდა დაწეროთ, მაგრამ წერეთ სომხებზე, რუსებზე, თათრებზე. მაინცა და მაინც ქართველ მოღვაწეებს რომ ჩააცივდით ეს არის სამწუხარო და საწყენი. აი იქ ქალანთარი რომ სოხუმს გვართმევს ამაზე რატომ ხმას არ იღებთ? მარტო ერთი კაცი როგორ გაუმკლავდეს ყველას? აი თუნდა ჩინონიკების აზ-

რი კავკასიის შემოსავალ-გასავლის შესახებ! ესეც მან უნდა დაამტკიცოს და ჩინონიკებს სალაპარაკო მასალა მოუსპოს.

პირველი. ერთი რამ დაგაკლდა: იმის შესახებაც დაწერეთ რამე ქართლის დასამშვიდებლათ რომ თავად-აზნაურთა შეიარაღებული რაზმი წასულა. ხალხში დადის ასეთი ხმა და ეროვნული საკითხი ხომ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

მეორე. ტყუილი ხმებია. ისინი თუ წავიდენ, ოსების წინააღმდეგ წავიდოდენ, თორემ ქართველი თავადიშვილი ქართველი გლეხის ძმა არის, ძმა.

პირველი. ფრთხილათ იყავი, კნეინებთან არ წამოგცდეს ასეთი სისულელე, განა არ იცი, რომ გლეხს სხვაგვარი სიხლი უდგას თავადს სხვაგვარი?.. მშვიდობით, მშვიდობით.

მეორე. მშვიდობით „მაჩაბლისტო“.

ეშმაკი.

ქურნალ-გაზეთებიდან.

დინჯზე უდინჯესმა და ზომიერების მოყვარულმა «ივერიამ» როგორც იყო, გამოკლებით გადაბეჭდა ჩვენი გაზეთიდან ერთი წერილი, რომელიც თ-დ ილ. ჭავჭავაძის გიორგ-კაკაბასთან დამოკიდებულებას ეხებოდა (სახელდობრ.: სოფ. საგურამოს და ჭიპორტის საზოგადოება, მოგზ. № 13). მაგრამ სიდინჯით ცნობილმა გაზეთმა აქაც ხედ მეტი სიდინჯე და ზომიერება გამოიჩინა, და თ-დი ჭავჭავაძე წინდაწინვე ყოველივე ბრალდებისაგან გაანთავისუფლა.

«ნუ თუ „გლახის ნაამბობის“ აკტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან?—კითხულობს ხსენებული გაზეთი, და პასუხს თითონვე იძლევა: «ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერ-ჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თითონ თ-დი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებსო» (იხ. «ივერია», № 54). როგორ მოგწონს, მკითხველო «განახლებული» გაზეთის ტაქტიკა? განა ასე იკვლევენ სიმართლეს ისინი, ვისაც მართლა სიმართლე აინტერესებს? ჩვენ კი გვგონია, რომ თუ «ივერიას» «კორესპონდენციის უსაფუძველობის დამტკიცება» სურდა, თ-დ ილიასთვის კი არ უნდა მიემართა ამისთვის, არამედ თითონ მიეღო ზომები სიმართლის გამოსარკვევათ. მაგრამ არა, მას ეს კი არ აინტერესებს მას უფრო ის აინტერესებს, თუ როგორ, რა გზით ააცილოს ილია ჭავჭავაძეს ბრალდება და ფონს უვნებლათ გაიყვანოს. როგორც მოსალოდნელი იყო, თ-დმა ილია ჭავჭავაძემ «თავისი უგულითადესი მადლობა მოახსენა ივერიის» რედაქციას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს არ დაუკერებია „მოგზაურში“ მოთხრობილი ამბები მის (ჭავჭავაძის) შესახებ და თქვენი წინა-გრძნობა ამ შემთხვევაშიაც გამართლდა, ვინაიდგან“ ყოველივე მოთხრობილი ჩემს შესახებ „მოგზაურში თავიდან ბოლომდე მტკნარი ტყუილია და განგებ სხვა და სხვა ელფერით შეღებილიო. ამისი უტყუარი და უცილობელი საბუთები ზოგი ხელთა მაქვს, ზოგსაც გამოვითხოვ და შემოწმება საჭიროა და ამას დრო უნდაო“ („ივერია“ № 55).

ჩვენ არ ვიცით, რა «უტყუარ და უცილობელ» საბუთებს წარუდგენს თ-დი ი. ჭავჭავაძე მას მიერ შობილ და ნაჭონ «ივერიას» ხოლო დღეს დღეობით იმის ძახილი, რომ ყოველივე «მოგზაურში» მის შესახებ მოთხრობილი თავიდან ბოლომდე მტკნარი ტყუილია, მეტათ უდროკოთ მიგვაჩნია, ისე როგორც უდროვო და უსაფუძვლო იყო „ივერიის“ გამოსარჩლება. რაც შეეხება ამ საყვედურს, რომ წერილის ავტორი ორ ასოს ამოჭარებია და მისი „ქართველი“ „ქურდულიაო, უკანიდან მიპარვით ისრის ტყორცნასა გავსო“, ამაზე თ-დ ჭავჭავაძეს აი რა უნდა მოვახსენოთ; საქმე ის კი არ არის, თუ სახელდობ ვინ არის წერილის ავტორი, არამედ ის, მართალია, თუ არა წერილში აღნიშნული ამბები. გარდა ამისა, ამგვარი საყვედური გაუგებარია თ-დ ჭავჭავაძის მხრით, რომელიც, როგორც გაზეთი „ივერიის“ რედაქტორი თავის გაზეთში ხშირათ სარგებლობდა სხვა და სხვა ფსევდონიმებით, როცა სხვის პირადობას, სინდისს და ავზნკობას ეხებოდა. განა ეს იმას არა გავს, რომ სხვის თვალში ბეწვიც კი შეამჩნიო და თავისაში დირესაც ვერ ხედავდე. ჯერ-ჯერობით ეს ვიკმაროთ.

სიტყვა და საქმე.

(ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურების კრებაზედ).

9 აპრილს შაბათს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურების კრება გაიხსნა. თავჯდომარემ კითხვების რიგი მოახსენა საზოგადოებას. დარბაზში ხმაურობა და ყვირილი ატყდა: არ გვინდა მაგაებზე ლაპარაკი, ჩვენ ჩვენ კაბინეტულ მდგომარეობაზე გვალაპარაკეთ; ჩვენ არ ვიცით ცოცხალი მიცალთ შინ თუ არა, გადაუწველი დაგვხვდება ჩვენი ოჯახობა, აუკლებელი ჩვენი მამული, ხვალინდელ საზრდოს ძოვუპოვებთ ჩვენ ცოლშვილს? აი რაზე გვალაპარაკეთ და გველაპარაკეთ. გლეხები მოგვისიეს, ის გლეხები, რომელნიც დღემდე ჩვენთან ძმურათ და მეგობრულათ ცხოვრებდენ, რომელთანაც არაფერი სადავო და საჩხუბარი არ გვქონია. დღეს კი აკლებას გვემუქრებიან, განადკურებას გვიპირებენ. რა გვეშველება, რა ზომები მივიღოთ ამის მოსასპობათ, აი, რაზედ მოვსულვართ და რის პასუხი უნდა ჩავიტანოთ შინ. ამას გაიძახოდა აზნაურობის ერთი ნაწილი (უმეტესათ შორაპნის მაზრიდან). დარბაზში საერთო ყვირილი და ხმაურობაა. არაფრის გაგონება, არაფერზე ლაპარაკი მაი აღარ უნდათ. კრება გადაიდგა, არჩეულ კომისიას მიენდო მეორე დღისთვის „ზომების“ შემუშავება და მოხსენება.

კვირაა. თეატრის დარბაზი და აივანი გაჭედილია ხალხით. კრება გაიხსნა. თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი (შორაპნის მაზრის) თხოულობს გარეშე მაყურებლებს გაძევებას: ან ისინი კარკარა ან ჩვენ გავალთ. ვერც ერთი და ვერც მეორემ გარეშე მაყურებლები გარეთ ვერ გაიქცნა, ზემო იმერეთის აზნაურები მარშლის წინამძღოლობით დარბაზიდან გავიდენ. ამნაირათ, ხალხთან შესარიგებელი ზომების შესამუშავებლათ შეკრებილმა აზნაურობამ ხალხის ორიოდე შვილის დასწრებაც ვერ იგუა და კრება გადაიდგა.

ორშაბათს ბილეთებით დაკბრილული, პოლიციის ზედამხედველობით შესული საზოგადოება დაესწრო კრებას. კრება გაიხსნა ისევ ხმაურობით და ყვირილით.

სიმონ წერეთელი. გუშინ წინ კრებაზე არჩეული კომისიის აზრით მოძრაობის უსიამოვნო მხარეების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა სოფლებში ჩვენი კაცების გაგზავნა და ქადაგი. ამ კაცებმა უნდა აუხსნან გლეხებს, თუ რა აუტანელი მოთხოვნილებით მიმართვენ ისინი აზნაურებს, რა ცუდი და მავნებელი საქციელია დაწვა, მოკვლა, წართმევა და სხვა. მაგრამ, რადგან ჩვენი საკუთარი ძალღონით ამას ვერ მოვახერხებთ, ამიტომ საჭირტოა ამაში მთავრობაც დაგვეხმაროს, ხელი შეგვიწყოს, საშუალება მოგვცეს ასეთი ქადაგება გავწიოთ ხალხში.

დავით მიქელაძე. ჩემის აზრით ასეთი საშვალებით მარტო

ჩვენ ვერაფერს გავხდებით, ამიტომ მივმართოთ შემდეგს: ვთხოვოთ გენერალ-გუბერნატორს მოიწვიოს სოფლის წარმომადგენლები და ურჩიოს დაარიგონ ხალხი, მოსპონ ასეთი ცუდი მოვლენები; რასაკვირველია, ის როგორც მთავრობის მოხელე თავიდ იმასაც ეტყვის, რომ თუ ნებით არ გიქნიათ, მე იძულებული ვიქნები იარაღს მივმართოო.

ხმაურობა და ყვირილი: ,,ძალიან კარგი, ძალიან კარგი! თანახმა ვართ. შვენიერი საშუალებაა''.

დავით წულუკიძე. მე ასეთი საშუალება ყოვლათ უვარგისათ, მავნებლათ და უგუნურ საშვალებათ მიმაჩნია. ჩვენ მაგით კიდევ უფრო ავრევთ, გადავკიდებთ ერთმანეთს. ამიტომ მე წინააღმდეგობას ვაცხადებ ასეთი ზომების შესახებ.

დავით იაშვილი. მე როცა აქ სერთუკოსანიდან გავიგონე დიწვის, მოკვლის, აკლების და დარბევის გმობა-გაკიცხვა, სწორე გითხრათ სიზმარში მეგონა ჩემი თავი. აბა ვინ აგონებს ხალხს ამაებს, თუ არ სერთუკოსნები. ჩვენ ხომ ხალხთან არაოდეს მტრობა არ გვქონია, ჩვენ ყოველთვის წინ მიუძღოდით მას ბრძოლის დროს და დღესაც ასე უნდა იყოს, მაგრამ აქ ჩვენ შორის შური და მტრობა დათესეს. ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ ყოველი დახმარება გავუწიოთ საერო საქვეყნო საქმეს, მაგრამ ჩვენ რით გვიხდიან ამას? ამას წინეთ ერთი ავადმყოფი არტისტისათვის ფული მოგვთხოვეს; ჩვენც სიამოვნებით მივეღეთ, ვინ თუმანი, ვინ ხუთი მანეთი, ვინ უკანასკნელი მანეთიც კი შესწირა. გამორჩა ჩვენი არტისტი ჩვენს შორის შეგროვილი ფულით, ჩამოვიდა და ეხლა ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურებს სამარეს ეთხრის...

არტისტი მესხიშვილი სიტყვას თხოულობს. ბევრი წინააღმდეგია. ისევ ხმაურობა და ყვირილი შეიქნა. როგორც იქნა მესხიშვილს საშუალება ეძლევა პასუხი გასცეს ბ. იაშვილს.

მესხიშვილი. ბატონი იაშვილი მაყვედრის, რომ ჩვენ ფული შეუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურობას სამარეს უთხრისო. მოვახსენებ ბ. იაშვილს, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს, ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდელით ვერავინ ვერ მომიყიდის და ვერ მაიძულებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება. ალბათ ბ. იაშვილს ,,კაი გრაკხი'' აქვს მხედველობაში. მერე რა ვთქვი მე ამ პიესაში. მე დავანახე აზნაურობას მისი ნაკლულევანება, მისი ზნეობრივი და გონებრივი სიღატაკე, მისი არარაობა დღევანდელ ცხოვრებაში (ყვირილი. არ ალაპარაკებენ. რაოდენიმე ხნის შემდეგ მესხიშვილი განაგრძობს) აი თქვენ შეკრებილხართ საერო კითხვების გადასაჭრელათ. აქ ბევრი წინააღმდეგია დღევანდელი პიუროკრატიული წესწყობილების და კიდეც წარმოთქვამს თავის აზრს. მეც წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მე აქ ლაპარაკის ნება არ მაქვს; საპასუხო სიტყვასაც კი არ მანებებდენ, მე აი რა შემიძლია გითხრათ თამამათ: აზნაურობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, აზნაურობა წინ ეღობება თავისი საქციელით ხშირათ დღევანდელ მოძრაობას, იგონებს რაღაც უმნიშვნელო და უაზრო საშვალებას და ფიქრობს ამით განმათავისუფლებელი წინსვლა შეაჩეროს. თქვენ თუ კავშირი და მოქმედება გინდათ, შეუერთდით ხალხს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ—აი ნამდვილი და უგბარი წამალი. სამი დღე კრებები იმართებოდა და ყვირილისა და არეულობის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ. ეს თქვენი თხოვნები და პეტიციები ერთ გროშათაც არ ღირს. ეს ყველაფერი ფუჭია, აი ამას გეუბნებით მე დღეს აქ, აქასვე ვიტყვი მე ყოველთვის იქ, საცა ჩემი ნამდვილი ასპარეზია, სადაც წმინდა მოვალეობა მიმიწვევს—აი იმ სცენაზე. ეხლა ხომ ცხადია, რა ძლიერი ყოფილა იქიდან წარმოთქმული სიტყვა, როგორ მოუწვავს გული ზოგიერთებისათვის. დიახ ეს სიტყვა ყოველთვის უფრო ძლიერი ყოფილა და იქნება, ვიდრე თქვენი არეული ლაპარაკი. მესხიშვილი კიდევ შეგაკრებინებთ ფულს. როცა მართალი სიტყვის გაგონება მოგინდებათ სცენიდან (გადის. ხანგრძლივი ტაში). კითხულობენ თავად გიორგი მიქელაძის მოხსენებას, რომელიც შემდეგ საშუალებას უთითებს მოძრაობის შესაჩერებლათ: 1) მოისპოს პროპაგანდისტების სიარული სოფლათ 2) გაფრთხილება მიეცეს ყველა გაზეთებს. რომ მიმართულება გამოიცვალონ და 3) მეტი გავლენა მოვიპოვოთ ხალხზე ერთობის დასამკვიდრებლათ.

კ. ულენტი. ჩვენ არ ვიცით ვინ არიან საქმის ამრევი პროპაგანდისტები, ჩვენ მათი ვერც სახელი გაგვიგია და ვერც გვარი. ამიტომ ჩვენ ყველა სერთუკოსნები ამრევათ მიგვაჩნია. რადგან დაწვაზე და წართმევაზეა საქმე, მივალ ვინმე სერთუკიანისას, გამოვაბრძანებ სახლიდან, მოვიკალათებ შიგ და დედმისიშვილია ხმას ამოიღებს (კრების ერთი ნაწილი ტაშს უკრავს).

ბევრი რწმუნება და ბევრი ფიცი დასჭირდა ჩვენს ინტელეგენციას, ჩვენ არასოდეს წვა-დაგვა, კვლა-განადგურება არ გვიქადაგნია ხალხისთვისო (თითქო სხვა რამ კი ექადაგნოს), მაგრამ ამათ; მერმე რამ გამოიწვია აზნაურების ასეთი აღელვება, შიში მუქარა? დაასახელეს ფაქტები, რომელიც ამართლებს მათ ასეთ საქციელს? ხალხს მქადაგებლების შეგონებით დაუწვავს და დაურბევიათ ვინმე უღირსათ, უსამართლოთ, უბრალო ვინით? თავადმა ივანე ნიჟარაძემ განაცხადა: მეც აზნაური ვარ, მეც მაქვს ცოტაოდენი მამული, მაგრამ არც დაწვის მეშინია და არც წართმევის. ჩვენში ასეთი მაგალითები არ ყოფილა. სხვა სოფლებშიაც ხშირათ გხლებივართ, მაგრამ მართალი გითხრათ არსად არ შემიმჩნევია შემძრწუნებელი რამ. მართალია იყო რამოდენიმე შემთხვევა აქა-იქ, მაგრამ განა უმსხვერპლოთ მოძრაობა წარმოსადგენია ან განა დამტკიცებულია, რომ ეს შემთხვევები პირადი მტრობით არ იყოს გამოწვეული. დალოცვილნო, სამი დღეა გაიძახით: გვახრჩობენ, გვწვავენ, გვკლავენ და ჯერ ერთი ფაქტიც კი არ დაგისახელებიათ. აბა დაასახელეთ ერთი და დაგვანახეთ, რომ ის მართლა ცრუ ქადაგებით ხალხის ჩადენილია. ასე ცალიერი სიტყვებით ყვირილი აბა რა საკადრისია; პასუხათ აი რა უთხრეს: რასაკვირველია, ჩვენ ამის ფაქტებით დასაბუთება დღეს დღეობით არ შეგვიძლია, მხოლოთ ამას არც ეჭირვება დამტკიცება, როცა აზნაურობა ასე აღელვებულია. მაშ რამ აღელვა ის, რათ არის ასე შეწუხებული? ჩინებული საბუთია ხომ, მკითხველო? განმარტება არ ეჭიერება. ასეთი იყო კრების ერთი ნაწილი.

როგორც ხედავთ ამ ნაწილის მიზანი—მოძრაობის შეჩერებაა; საშუალება—ძალა გარეშე და შინაური.

მეორე ნაწილია ინტელეგენცია: ამის მიზანია საქართველოს ავტონომია; საშუალება—მთავრობისადმი თხოვნის წარგზავნა. პირველი ოხოულობს დღევანდელი მისი საშიში მდგომარეობის დღესვე მოსპობას; მეორეს ერთად ერთ საშუალებათ ბოძებული ავტონომია მიაჩნია. აზნაურობას ეს შორეულ მიზნათ მიაჩნია და ამიტომ ამ ორ ნაწილს შორის შეუწყვეტელი უთანხმოება და წინააღმდეგობაა.

მოვისმინოთ მოკლეთ რამოდენიმე ინტელეგენტის სიტყვებიც.

ნიკო თავდგირიძე. აზნაურობასა და გლეხებს შორის მუდამ მჭიდრო კავშირი არსებობდა და საერთო საქმეს, სამშობლოს ინტერესებს ყოველთვის ძმურათ და ერთგულათ

ემსახურებოდენ. ასე იყო ძველათ. ასე უნდა იყოს დღესაც; თავად-აზნაურობის კითხვა ეროვნული კითხვაა. მხოლოთ მას შემდეგ, რა რომ საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ჩვენ ერს დღითი დღე დაბეჩავება, გადაგვარება, გარყვნა და გაფუჭება ემჩნევა, ერთმანერთს წაგვკიდეს და გადაგვამტერეს. რათ ხდება ასე? იმიტომ რომ ჩვენ გვაძალებენ ჩვენთვის ურგებ და მავნებელ კანონებს, სადღაც ცივ ქვეყანაში შემუშავებულს, ვიღაც უცნობი პირების გამოცემულს. მოგვისპეს ყველა დაწყებულებაში და სასწავლებლებში ქართული ენა, ჩვენს ყოფა ცხოვრების ჩვენდა დაუკითხავათ განაგებენ, სიტყვას არ გვათქმევინებენ ჩვენი საჭიროების გამო, მოკლებული ვართ თავისუფლათ აზროვნებას, თავის შეყრას, მოლაპარაკებას. ამას ჩადის დღევანდელი ბიუროკრატიული რუსეთის მთავრობა. ის თვით რუსეთის ერისათვის აუტანელი შეიქნა და მის წინააღმდეგ ამხედრებულა მთელი ქვეყანა. მით უმეტეს გვმართებს ჩვენ. მხოლოთ ჩვენ ვითხოვთ მოგვეცეს თავისუფალი მართვა-გამგეობა, სრული ავტონომია, რომ ჩვენ თვითონ, ჩვენ მიერ არჩეული კაცების საშუალებით ჩვენთვის კანონებიც დავადგინოთ და კიდეც ავასრულოთ. აი რა გვინდა დღეს ჩვენ, აი რით შეიძლება ყოველივე სენის განკურნება. (აზნაურობა ყვირის: ეს შორს იქნება, მაგი კითხვა მაისში გავარჩიოთ; ჩვენ არც კი ვიცით, რა არის ეს ავტონომია. ჯერ განგვიმარტე და შემდეგ ვითხოვოთ).

ეს იყო ინტელეგენციის უმთავრესი აზრი, ყველა დანარჩენი ორატორები იმასვე არკვევდენ და ამტკიცებდენ. სადღეისო მალამო მხოლოთ სილოვან ხუნდაძემ მიუთითა. აი მოკლეთ მისი სიტყვა:

რამდენათაც მე ჩვენში მომქმედი წრეების პროგრამა წამიკითხავს და გამიგია, არც ერთ წრეს მიზნათ არ აუღია დაწვა, მოკვლა, საკუთრების წართმევა. ისინი ამის წინააღმდეგნი არიან. ის პირები, რომელთაც უმოქმედიათ და დღესაც მოქმედებენ და რომელთაც საქმე აქამდე მოუყვანიათ, ჩვენგან არამც და არამც სასაყვედურო არ არიან. აბა რა პირადი ინტერესი აიძულებთ მათ მოქმედებას? არავითარი. წინააღმდეგ, მათის მხრით ეს მოქმედება თავგანწირვაა. სიმშილი, წყურვილი, მუდამ მოუსვენარი ცხოვრება, ციხე, ციმბირი, დევნა-წვალება. აი რა მოელის მათ დღე მუდამ, აი როგორ აჯილდოებს მათ დღევანდელი ცხოვრება. არა ეს პირები პატივისცემისა და ვაშას ღირსნი არიან. ისინი უდგანან დღეს სათავეში ხალხის მოძრაობას, ისინი ხელმძღვანელობენ მათ მოქმედებას. სწორეთ იმათვე შეუძლიანთ ყოველივე ცუდის აღმოფხვრა და შესწორება, აი სწორეთ იმათ უნდა მივმართოთ როგორმე და ვთხოვოთ მიიღონ ყოველივე ღონისძიება მოძრაობის მავნებელი მხარეების აღმოსაფხვრელათ. აი ერთად ერთი საშუალება. აი ვის შეუძლია ამ კითხვის გადაჭრა. სხვა ყველაფერი ფუჭია. ასეთია მოკლეთ კრების შინაარსი.

რა გამოირკვა. ის, რაც დიდია ხანია გამორკვეულია: 1) თავად აზნაურობის ერთი ნაწილი ვერ შეურიგდება დღევანდელ მოძრაობას და საერო საქმე მისთვის ცალიერი სიტყვაა; 2) ჩვენის ინტელეგენცია არც ყოფილა და ვერც იქნება ხალხის ინტერესების გამომხატველი. გავარკვიოთ ჩვენი აზრის.

ჩვენ მხოლოთ უკანასკნელზე შევჩერდებით ამ ჟამათ. ჩვენი ინტელეგენციის სიტყვა—ხალხთან ერთათ ვიყოთ, ხალხს შევუერთდეთ. მიეცეთ ხელი, ჩვენც მათთან ვიმოქმედოთ. რას შვება ხალხი? მოითხოვოს თავისუფლებას მთელ რუსეთის ხალხთან ერთათ და ამ მიზნის მოსაღწევათ ემზადება, ძალას იკრებს... რას შვება ინტელეგენცია? ითხოვს თავისუფლებას ქართველებისათვის. ეს არის მისი საქმე. სად არის აქ ერთად ყოფნა, ხალხთან დგომა. ხალხი ემზადება... ინტელეგენცია კი ამავე დროს თხოვს. ხალხს ძალა ეჭივრება და ყველა ერებისათვის მეგობრულათ ხელი გაუწვდენია, მჭიდროთ იკვრიან ქართველი და რუსი, სომეხი და თათარი... ინტელეგენცია ამა დროს ქართველებს გამოყოფას უპირებს და მისთვის ცალკე მზრუნველობას ეწევა. მერმე რის იმედით ნეტავი? თხოვნით განა ვისმე თავისუფლება მოუპოვებია ასეთ პირობებში? ძალა აქვს რომ თვისი გაიტანოს? მაშინ ხომ არც ითხოვდა., მერმე ვისი წყალობით გზავნის ასეთ გულ-ახდილ და გაბედულ თხოვნას, ვინ მისცა მას საშუალება ისე თავისუფლათ ელაპარაკა, როგორც ეხლა ლაპარაკობს? რატომ ასეთ თხოვნებს ახლა დაუდგა დრო? ჩავჩურჩულებთ და ნუ შერცხვებათ: ხალხის წყალობით. მერმე აღარც კი ეკითხებიან მას... რა უნდათ, რას ესწრაფვიან? მაგრამ ან დაკითხვა რა საჭიროა. ხალხმა უკვე ხმა მაღლა თქვა რაც უნდა. საშუალებაც ცხადათ აირჩია. ინტელეგენციამ უარჰყო ერთიც და მეორეც. მან ამნაირათ უარყო ხალხი. აი მისი საქმე... კრებამ მაინც ორივე ნაწილი დააკმაყოფილა: აირჩია კომისია ,,ზომების გამოსაძებნათ და ავტონომიას ერთხმათ თხოულობს!.. ჩინებული მაგალითია!

მაყურებელი.

გურიის ამბები.

(შენაშენები)

დილის 7 საათი სრულდებოდა, როცა ბათუმისკენ მიმავალი მატარებელი ნატანების სადგურს მიუახლოვდა. ვაგონებში ტევა აღარ იყო. მთელი ღამის უძინარმა, მხოლოთ დილას ვიშოვე მისაწოლი ალაგი. ძილი მაინც არ დამცალდა. გაისმა ლოკომოტივის კივილი და რამოდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი გაჩერდა. მეც, სხვა მგზავრებთან ერთათ ვაგონის პლატფორმაზე გავედი და სადგურზე ჩასასვლელათ მოვემზადე. წვიმდა და ისეთ ნაირათ ციოდა, რომ შუა აპრილის დილა თებერვლის სუსხს მოგაგონებდა. სადგურზე ხალხი ცოტა იყო. რამდენიმე გურულები მიდიმოდიოდენ და ათიოდე მობუზული ჯარის კაცი, გახუნებულ ფარაჯაში გახვეულები, მოწყენილის სახით უაზროთ და უმიზნოთ დასეირნობდენ სადგურის აივანზე. ლიანდაგის იქითა მხარეს, უძრავ ვაგონებს უკან, მეტი მოძრაობა იყო. იქიდან მოჩანდა ჩამწკრივებული, ხარებ-გამობმული ურმები, ურმების შორის ერთმანერთში ირეოდენ ჯარის კაცები და გურულები. მოისმოდა სალდათების ხმა-მაღლა ლაპარაკი და გურულების ჩიქორთული რუსული.

ნატანების სადგურზე კარგა დიდი ხნის ლოდინი მომიხდა, რადგან არც ერთი ეტლი არ იშოვნებოდა. ბოლოს, როგორც იყო ვეღირსეთ ეტლების ჩამოსვლას და გავსწიეთ ოზურგეთისაკენ. ნატანებიდან ოზურგეთამდე 18 ვერსტის მანძილია. კარგ დარში ასეთი მოგზაურობა გურიაში, სადაც ყველაფერი ყვავის და ამწვანებულია—მეტათ სასიამოვნო რამ არის, მარა წვიმიან დღეს, ჩამოხურულ ეტლში, როცა სიცივისაგან გაკანკალებს და ფერაფერს ხედავ გარდა თანამგზავრის მოწყენილ პირისახისა და მეეტლის დასველებულ ზურგისა—ორი საათის მგზავრობა საუკუნოსავით გრძელდება და მოთმინება გეკარგება, სანამ დანიშნულ ადგილს მიახწევდე. როცა მდინარე ნატანების ხიდზე გავედით, ეტლს სახურავი გადავხსენით და ცნობის მოყვარეობით გადავავლეთ თვალი ვეებერთელა, ტიტველ მინდორს, ნატანების მარცხენა ნაპირზე გაწოლილს, სადაც ამ ჟამათ გენ. ალიხანოვის ჯარია

დაბანაკებული. თითქმის მთელი მინდორი გადათეთრებულია ბამბის კარვებით, აქა იქ მოჩანს ლამაზათ ჩამწკრივებულ თოფების მესერი, ათიოდე ზარბაზანს ნაღვლიანათ დაუწევიათ ლულები ძირს და დაჟინებით დაცქერიან მიწას; მთელი მინდორი ატალახებულია წვიმისაგან და გულში ძალაუნებურათ იღვიძებს სიბრალულის გრძნობა იმ გამანჭანებულ ადამიანებისადმი, რომელნიც მათი სურვილის წინააღმდეგ შეუბრალებელ ძალას ვინ იცის სად და რისთვის გადაუხვეწია. გზაზე ყველგან თოფიანი ჯარის კაცები და პლასტუნები მოჩანან...

ჯარის ბანაკი თავდება და იწყება თვითონ ოზურგეთი. ყველგან სრული სიწყნარეა. აქაც შეიარაღებულ ჯარის კაცებს ხედავ, გიკვირს და ვერ გაგიგია მათი დანიშნულება აქ, ამ მყუდრო ქვეყანაში. ბაზარში გაცხარებული ვაჭრობაა ჯარის კაცების წყალობით. ერთ ადგილას შეგროვილა ორმოციოდე ჯარის კაცი; ამათ ბაზრის წესიერებას უნდა ადევნონ თვალყური. ყველას დაღვრემილი, აპატიური სახე აქვს. ლაპარაკი სრულებით არ მოისმის მათ შორის და იგინი მოწყენით უყურებენ ულეველ წვიმას. მხოლოთ პლასტუნების პატრულები დასეირნობენ არხეინათ და მათ ბოროტ სახეებზე მხეცური, პირტყვული გამომეტყველება იხატება. ამათ და ყაზახ-რუსებს ყველა ზიზღით უყურებს აქ, სალდათი კი ყველას ებრალება.

7 თვეა, რაც გურიაში არ ყოფილვარ და ყველა იმ ამბებს შემდეგ, რაც ამ ბოლო დროს დატრიალდა იქ, ერთი ორათ მაინტერესებდა თავისუფალი, გაბედული გურულების ნახვა და მათი ახლანდელი მდგომარეობის დაწვლილებით გაგება. მაშინ, ამ შვიდი თვის წინეთ მთელი გურია ცეცხლზე იდგა, ყველგან გაფაციცებული მუშაობა იყო ხალხის შემოქმედებითი ძალისა. ცხოვრება დუღდა და გათვითცნობიერებულ გურულების გულში და გონებაში სამუდამოთ იტკეპნებოდა შეურყეველი რწმენა სანატრელი მომავალის მოპოებისა. ყველა ზიზღით და წყევა-კრულვით იგონებდა იმ ახლო წარსულ დროს, როცა გაჭირვებას, დაჩაგვრას და მონობას საზღვარი არ ქონდა და თითონ ჩაგრულთ კი არ ესმოდათ მიზეზი არსებულ უსამართლობისა, უდრტვინველათ იხრიდენ ქედს ძალმომრეობის უღელქვეშ. ყველაფერი უბრალოთ და მარტივათ იხსენებოდა მათთვის და მზესავით ნათელი მოძღვრების სხივი სამუდამოთ შეიჭრა მათ მკვირცხლ გონებაში. ერთიათათ მწვავე და აუტანელი ხდებოდა მათი მდგომარეობა და ამ მდგომარეობიდან თავის დახწევის სურვილი ბუნებრივ მოთხოვნილებათ იქცეოდა. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა გურია ამ შვიდი თვის წინეთ.

გურიის მოძრაობამ ძალიან ბევრის ყურადღება მიიქცია და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ეს მოძრაობა იმდენათ აშკარა და თვალსაჩინო იყო, რომ მისი ჩაფუჩერება და დაფარვა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა. თვით იგინიც, ვინც წინეთ გურულების გამოფხიზლებას სამასხაროთ იღებდენ და ამ მოძრაობის მეთაურებს ხალხის მტრებათ თვლიდენ, ახლა ფრიად ჩააფიქრა გურიის ამბებმა მათ დაინახეს ამ მოძრაობის ძალა, ველარ შესძლეს მისთვის გვერდის ახვევა და წინეთ მისი მტრები და ორგულები ახლა მის მოსარჩლეთ, ერთგულებათ გამოვიდენ. ყველაზე უფრო საწყენი და სახელის გამტეხი გურიის გამოღვიძება რასაკვირველია მთავრობისთვის შეიქნა. გურულებმა ყოველ გვარი კავშირი შეწყვიტეს ადგილობრივ მთავრობასთან, უარყვეს დაობებული, გამათახსიერებელი წესები და ახალს, თავისუფალ გზას დაადგენ; მთავრობას ელდა ეცა, მან დაინახა, რომ ეს ერთი მუჭა ხალხი საუკუნებით მოპოებულ ყალბ კრედიტს უკარგავდა მას და გადაწყვიტა გურიის მოძრაობის ამოფხვრა; გურიაში მოძრაობის ამოფხვრა კი გურიის, გურულების ამოფხვრას ნიშნავდა, რადგან ამ მოძრაობის იდეები ყველა გურულს ძვალში და რბილში აქვს გამჯდარი. ეს კარგათ ესმოდა ჩვენ მთავრობას და მან გაგზავნა გურიაში მთელი არმია გენ. ალიხანოვის მთავარ-სარდლობით. ჯარის გაგზავნას მოყვა სულთან კრიმ-გირეის გაგზავნა და ჩვენი დროის დამახასიათებელი კომედია მთავრობის ვითომდა მზრუნველობისა. კრიმ-გირეის გულახდილათ უთხრეს გურულებმა თავიანთი გასაჭირი, წარუდგინეს მოთხოვნილებები და ისიც დაუმატეს, რომ ახლანდელი მთავრობიდან იგინი არაფერ სასიკეთოს არ მოელოდენ. დასრულდა კრიმ-გირეის მოგზაურობა; რა შედეგი მოყვა მას? გენერალი ალიხანოვი თავის არმიითურთ გადაბანაკდა ნატანებიდან ქ. ოზურგეთში, სადაც დღემდის იმყოფება. ადმინისტრატიული წესით დაატყვევეს და გადასახლებას უქადიან 8 კაცს, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის არავისთან: ყაზახ-რუსებმა და პლასტუნება თავისებურათ წაიხსნეს აღვირი და არ ინდობენ არავის საკუთრებას. იმ გურულებს, რომლებიც ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძვიან, ვინ იცის რა და რა ძალმოძრაობას აბრალებენ (გენ. ალიხანოვის ტელეგრამა) და სხვა და სხვა.

როგორც ზევით ვთქვით, გურულების რწმენა არ არის ყალბი და უსაფუძვლო, ის თვით ცხოვრებაზეა აშენებული და ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრავს მათში ამ რწმენას. ეს თითონ გურულებმაც კარგათ იციან და მით უფრო აუტანელი და მწარეა მათთვის ახლანდელი მდგომარეობა. ბატარა „ბაღნებიც“ კი, რომელთაც ცელქობის მეტი არაფერი არ უნდა ახსოვდეთ, დღეს მთელ გურიაში ერთობას და თავისუფლებას გაიძახიან და ვერცხლის ზარასავით წკრიალა ხმით ახალი დროის შესაფერ ლექსებს მღერიან.

ახლა გურიაში ველარ დაინახავ ისეთ აღფრთოვანებულს, ანთებულ სახეს, როგორც ამ შვიდი თვის წინათ. ახლა ყველასათვის ცხადია დღევანდელი აუტანელი და დრამებითი, წარმავალი ცხოვრება. ყოველი გურული გრძნობს, რომ ახლო მომავალში სულ სხვა ჯარა დატრიალდება და წუხს, რადგან ჩქარობს ამ სასიხარულო მომენტის მოახლოებას. მათ იციან, რომ ძალ-მომრეობისთვის შესაფერი პასუხის გაცემა ჯერ-ჯერობით არ არის ხელ-საყრელი და ყაზახ-რუსების ქცევით გამოწვეულ ბრაზს და სხვა ამ გვარ უდიერ მოპყრობის ნიმუშებს გულში იხვევენ. ამას წინათ ოზურგეთში მიდიოდა ერთი გურული გლეხი ცოლით. გზაზე ყაზახ-რუსი შეხვდა, მივარდა ქალს, მოხვია ხელები და აკოცა. ამას სხვა დროს არავითარი გურული არ მოითმენდა, მით უმეტეს შეურაცხყოფილი ქალის ქმარი, რომელიც, თურმე, ძალიან ფიცხი კაცია. საბრალოს ბრაზისაგან კანკალი დაეწყებია, მარა მაინც შეიკავა თავი.

— იმ ყაბახს გავანიორწყალებდი იქინეი, მარა დროზე გამახსენდა რა სისხლის ღვრაი მოყობოდა სიკვდილს და, ისევე, ჩემს გულს შევაკტე მირჩევნია მეთქი გავიფიქრეო, ეთქვა შეურაცხყოფილ გურულს.

ასეთ მდგომარეობაშია ახლა გურია.

ლ.

ᲫᲣᲗᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

დიდი ხანი არაა—სულ 3—4 კვირაა, რაც ახლანდელმა გლეხთა მოძრაობამ რაჭა-ლეჩხუმშიაც თავი იჩინა და როგორც სხვაგან,

აქაც მიწების სივიწროვის გამო, შემამულეებს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი მიწების შეღავათიან პირობებში დათმობის შესახებ. რასაკვირველია, სხვაზე უფრო აქაური შემამულეები შეაშფოთა შერომელთა მოთხოვნილებებმა.

რაჭა-ლეჩხუმსა და კიდევ იქით—სვანეთში დაწყებულ მოძრაობას მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიეს და ზოგიერთ შემთხვევებში მთავრობის ზომების თანხმობაც კი მოქმედებენ ქვეყნის სამარცხვინოთ. ხალხმა სასოფლო კანცელარიები და მათი სულის ჩამდგმელნი უარეო, მამასახლის-ბოქაულები და იმათი ნაწარმოები ქადაღდები კანცელარიებიდან გამოიტანა და ქარს გაატანა. ბოქაული და ერთ ალაგს დგომიც კი აიტრინეს წინ და ისინი თავ ქუდ-მოგლეჯილნი ქუთაისში ჩამოიკრენ სამეულად.

ლეჩხუმში მომხდარი ამბები სვანეთშიაც გადვიდა და იქ გარდაუხსძეებს თავადური ძილი დაუფთხო. იმათ იფიქრეს, არჩიეს და გადაწვეტეს, ჩვენ თავისუფალ სვანეთში ძალიან კარგათ ვცხოვრობთ ჩვენ უმებთან, მათთან გასაყოფი ჩვენ არაფერი გვაქვს და მაშ აქ ახალთაობის მოძრაობას ადგილი არ აქვს და ნურც ნურავის შემოუშვებთ ჩვენ სამეფოში. თქვეს ეს თავადებმა და 6 აპრილს შემთხვევაც მიეცათ შეესრულებინათ თავიანთი გადაწვეტილება.

ამ დღეს ო-დ გარდაუხსძეებთან ს. დაშხეთში სტუმრათ მივედა რაღაც მახლობელ ნათესავთან ო-დი შამშე გელოვანი. შევიდა თუ არა ახალგაზდა სტუმარი ეზოში და მიესალმა ბავშს, გავარდა თოფი სახლის ბალკონიდან და შამშე მოწვეტ ძირს დაეცა. მეისვე გამოვიდენ სტუმრის თოფით მომასპინძლე თავადები და დაინახეს თუ არა მოუპატიჟებელი სტუმარი ჯერ კიდევ არ მომკვდარა, ექვსიოდე ტყვია კიდევ დასცეს, ხანჯლითაც ხელი მოუთავეს და იქვე სული გაანთხევიეს. ამა რას მოითქიქრებდა გულუბრყვილო ახალგაზდა იქვლინტი, თუ მას მასპინძლები თუ თავადობით არა, ნათესაობით მაინც არ გაიტანდენ. ამ იმედით გამოსტუმრებიან უკან განსვენებულს მხლებელი, რომელსაც გაეფთხილებინა იგი „ნუ მიდიხარ ბატონო, თორემ გარდაუხსძეები დაქალებული არიან, მოგკლავენო“ და მართლაც სასწორიო ჯუსრულდა უბედურ შამშეს გონიერი მრჩეველის სიტყვა. მაგრამ ვერც ამ სიტყვებმა შეაჩერა ეს მხნე, თავის ამოჩემებულ მიზნით გატაცებული ახალგაზდა და თავიანთ მომქმედებში ორიოდ კეთილ აზრის დასანერგათ მაინც გაეშურა.

შამშე იყო დეჩხუმის წარჩინებულ თავადიშვილ იასონ გელოვანის შვილი, რომელსაც კარგათ იცნობს მთელი იმერეთის საზოგადოება, დოკორც მის მოწინავე ჯგუფის წარმომადგენელს. მამის ოჯახში შამშე თავისუფალი იზდებოდა. მამამ იგი ქუთ. გიმნაზიაში მისცა. ოჯახში თავისუფლების შეჩვეული თავადიშვილს, ქუთ. გიმნაზია ცხიეთ მოეჩვენა, სადაც უბრალო მის მოძრაობასაც კი მიზეზებით თვალყურს ადევნებდენ და ყოველ მის ნაბიჯს სასტიკ სკოლურ რეჟიმს უმორჩილებდენ. ამიტომ იგი განშორდა გიმნაზიას და შევიდა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში, სადაც ამ ხანებში გაცილებით მეტი თავისუფლება იყო და სკოლური ცხოვრებაც უბრალო, დემოკრატული. აქ ამ დროს საუკეთესო ბერიოდი იყო შეგირდთა ცხოვრებაში. აქ თავი მოიყარეს სხვა და სხვა სასწავლებლებიდან გამოსულმა ნაწილიერმა ახალგაზდებმა, რომელთაც მეურნეობის გარეშე, რაც ამ სასწავლებელში არასოდეს არ ყოფილა ჯეროვანათ დაეწენებული, თვით განვითარება დაისახეს თავის მიზნათ და საქმეს ემსახურებოდენ.

სამეურნეო სკოლის დამთავრების შემდეგ, შამშე რუსეთში წავიდა უმაღლესი სწავლის მისაღებათ. სასწავლებელში შესვლამდი, იგი ემზადებოდა ოდესაში, სადაც სტუდენტობაში ტრიალებდა. აქ მან სამი წელი დაყო და სასწავლებელებში მოძრაობის დროს ისიც გამოისტუმრეს კავკასიაში. ჩამოვიდა თუ არა სამშობლოში, შამშემ თავისი სწავლა-განვითარების პრაქტიკულათ გამოყენების საქმეს მიჰყო ხელი, დაუახლოვდა აქ ხალხში მომქმედ ჯგუფს. შეუთანხმა მათ მოძღვრებას თვის განვითარებით შეძენილი ცოდნა და ხალხის თვითცნობიერების—ამ, დღევანდელ ცხოვრების პირობებში ეკლიანი გზის გაკაფვას შეუდგა. მან თავის მომქმედ ამხანაგებთან ერთათ გამოირკვია ხალხში სამოქმედო საამდროვო პროგრამა და ამხანაგებს უთხრა: ევლასვან მიგაწყებულ რაჭა-ლეჩხუმს უნდა მივაშუროთ, ჩვენი ქვეყნის ევლა მხარეებმა გამოიდვიძოს, ამოძრავდეს, სიერთო ხმას ბანს აძლევენ და ჩვენებურებს კი ძინავთო. მე მათი შვილი ვარ, მათი ავი და კარგი დახსლებიათ ვიცი და იმათში სამოქმედოთ მე წავალო და მართლაც მიაშურა მან თავის მხარეს, სადაც ახალი მოძრაობა ახლათ დაწყებულიეო და არა სასურველი მიმართულება მიეღო და აი აქ, სადაც ამ არა სასურველ მიმართულებას განსვენებული, თავის მოძღვრების კვალობაზე კალაპოტში აუენებდა მას და საცა ხალხს ჯერ არაფერი გაეგო ახალთალი მოძრაობის, იქ მათ თვითცნობიერებდა, ურკვევდა რა თავიანთ დაბეჩავებულ მდგომარეობას.

აი ამ წმიდა მოვალეობის სასამსახუროთ ადგილი ოც და ორი წლის ახალგაზდა უდროოთ გამოასალმეს წუთა-სოფელს სვანეთის თავადებმა და მით მთელი გვარეულობის საისტორიო, სამარცხვინო საქმე ჩაიდინეს, რასაც ისინი ხალხის წინაშე დიდის კეთილის საქმის ჩადენით თუ გამოიყიდიან.

სვანეთიდან ჩამოასვენეს უდროოთ სიცოცხლეს გამოსალმებული შამშე გელოვანი თავის სამშობლო სოფელ ახალ-ჯალას დეჩხუმში და 12 აპრილს უკვე დასასვენეს. გასვენებას 200—3000-დი ხალხი დაესწრო მომეტებულათ გლეხკაცობა, რომელიც მწარეთ და გულწრფელათ ტიროდა თავის ქვეყნისათვის თავდადებულ შვილს. მომტირალი საზოგადოება ერთი მეორეზე მოდიოდა უკანასკნელათ გამოსათხოვარ სიტყვის სათქმელათ. ევლა მათგანს ცალკე გვირგვინი მოქონდა შესაფერის ზედწარწერებით. ასეთი წითელი დენტებით შემკული გვირგვინები თორმეტამდი იყო. სამი გვირგვინი ქუთაისიდან გაიგზავნა აქაური მუშების, ხელობის და განსვენებულის ამხანაგ-მეგობრებისაგან. სოფლავზე რამდენიმე სათანადრნობო სიტყვები წარმოითქვა. რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოება, აგრეთვე მამა განსვენებულისა თავადი იასონ გელოვანი უკულათადეს მადლობას უცხადებს ევლას, ვინც თავის დასწრებით, თუ შორიდან მწუხარების გამოცხადებით თანაგრძნობა გამოუცხადეს უდროოთ დაკარგულ მათ შვილის სახელს.

ამოდენა ხალხის სოფლათ თავ მოყრამ განსვენებულის ბატიების სიცოცხლით დიდი, უმაგალითო გამახსენებელი გვქონია აქანაა გლეხკაცობაზე, რომელთაც შეიტყეს ერთმანეთს შამშეს ნაქადაგებ საქმეს არ უღალატებიათ... უდროოთ დაკარგულ შამშეს ხსოვნისათვის ხომ ეს ხელთუქმნელი ძეგლი ევლა ხელით აგებულ ძეგლზე უძვირფასესი იქნება...

ისო.

სასტუმროებისა, რესტორანებისა და კერძო სახლებში მოსამსახურეთა კრება.

თერთმეტ აპრილს სასტუმროების, რესტორანების, კერძო სახლების და რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეები გაიფიცენ. მათმა ამოძრავებამ მთელი საზოგადოება განაცვიფრა. არავინ ფიქრობდა და მოელოდა, რომ ეს ცამეტ ათასზე მეტი დაქსაქსული ადამიანები ასე მჭიდროთ შეერთდებოდენ, მედგრათ და გაბედულათ მოითხოვდენ აუტანელი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. რადგანაც გაფიცვა გაგრძელდა და ამ დიდ დღესასწაულებზე საზოგადოება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა უმოსამსახუროთ, 15 აპრილს ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება შესდგა მოსამსახურეების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებების განსახილველათ (ეს მოთხოვნილებები ჩვენს გაზეთებში უკვე იყო დაბეჭდილი) დილის ათ საათზე საბჭოს დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. იმოდენა გაფიცულ მოსამსახურეებს დარბაზში თავი მოეყარათ, რომ ნემსი გაგეგდოთ იატაკზე არ დავარდებოდა. ვინც

დარბაზში ათ საათამდის შეიკრიბა ვერ მოასწრო—ქუჩაში, დარბაზის კარიდორში და კიბეებზე დარჩა. ამ კრებას გაფიცულ მოსამსახურეებს გარდა ხაზეინების ერთი ნაწილიც დაესწრო. კრება დაახლოებით 10 საათზე გაიხსნა და ერთხმათ თავმჯდომარეთ ს. თ. ჭრელაშვილი, მდივნათ ბ-ნი ნიკოლაძე აირჩია. პირველ ყოვლისა კრებამ მოითხოვა ადმინისტრაციის და ჯაშუშების კრებიდან გაძევება, რის შემდეგ თავმჯდომარეს განუცხადა, რომ უკეთუ დაჭერილ პირობებს არ გაათავისუფლებენ მუშაობას არ დაუბრუნდებითო. ამასთანავე ერთხმათ ამოდენა ხალხმა იგრიალა და მოითხოვა, რომ სხირტლაძეებს აუცილებლათ რესტორანები დაუხურონ, რადგანაც ისინი ყველაზე მეტათ წოვენ სისხლს, თელავენ მოსამსახურის პიროვნებას და ერთი სიტყვით ჯანაბურ პირობებში არიან მისი მოსამსახურებიო. ამ მოთხოვნილებაზე ბ. ჭრელაშვილმა კრებას უთხრა, რომ მთავრობა თქვენს თხოვნას არ შეიწყნარებს. თქვენ შეგიძლიათ მათ მოთხოვნილებანი წარუდგინოთ, თუ დაყაბულდენ, ხომ კარგი, თუ არა და, მუშაობას ნუ შეუდგებითო. თავმჯდომარის პასუხათ ხალხში გაისმა: არ მიეკვეს სხირტლაძეებს მოსამსახურეები!.. დაუხურონ რესტორანები!..

შემდეგ ერთმა დაიწყო: აუტანელმა და საშინელმა ცხოვრების პირობებმა გვაიძულა, რომ გავფიცულიყავით. დიდი ხანია საზოგადოთ მუშა ხალხთან ჩვენც, მოსამსახურეებს, შეუბრალებლათ სისხლს გვწოვენ, თითქმის ოცდა ოთხი საათის განმავლობაში შეუვენებლათ ციბრუტივით გვატრიალებენ, დღითი დღე ჩვენი სხეული სუსტდება, სულით კი ვდუხჭირდებით და მარტოთ ჩვენი საბრალო ჩონჩხი რჩება და მეტი არაფერი. კაი ხანია ჩვენს პირადობას ჯეკნიან, კაიხანია გვამცირებენ, გვათახსირებენ მოურიდებელი ქალბატონები, ჟილნით აღსავსე ვაჟბატონები და უდიერ-უმაძღარი სტუმრები. ჩვენ კი ხანია სამართლიანი შრომის ფასის ნაცვლათ რაღაც «საჩუქარს» გვაძლევენ, რითაც ისეთაც ჩვენი აღების მიერ დამცირებულ ადამიანობას ერთი ორათ ამცირებენ, და ამ კრული «საჩუქრებიდანაც» არაფერი ჩვენ არ გვრჩება, რადგანაც უმაძღარი აღები ათასგვარი ჯარიმის სახით, დაკარგულგატეხილი ჭურჭლების საფასეთ, დაძველებულ სუფრის თუ ხელსახოცის გასაახლებლათ და «საცარი ყულაბის» გასაყიდათ, მუშტრების ნისიების გასანაღდებლათ გვახთევინებენ.

ჩვენ რადგანაც მოსამსახურეები ვართ ყოველგან და ყოველთვის უნდა ვსდუმდეთ. ჩვენს პირადობას თელავს აღა, დიასახლისი, პოლიცია. კაზაკის მწვავე მათრახები გვერდებს გვიჭრელებს და არც მუშტარი გვაკლებს ხელს, რადგანაც „ლაქია“ ვართ და უმრავლესობის შეხედვით “ლაქია“ ხომ პიროვნება არ არის!..

ჩვენ მეტათ ბევრი გასაჭირი გვადგას, მაგრამ ყველა ჩვენი მწუხარების ჩამოთვლას ერთ წელიწადსაც ვერ გაათავებს ადამიანი. ჩვენს ცხოვრებაში ხშირათ ბევრ ისეთ რამეებს შეხვდებით, რომ პატიოსანი ადამიანი გაგონებისათანავე ცხრა მთას იქით გადიკარგება. ჩვენ ხაზეინებს, რომ მეტი შემოსავალი ქონდეს, მუშტრებმა რომ მეტი ისიამოვნოს, ნამუსზე და პატიოსნებაზე ხელს გვაღებინებენ და პროსტიტუტკებს აქეთ-იქიდან ბაღების «კაბინეტებში» თუ «ნომრებში» გვაყვანინებენ...

ჩვენი აღების დასახასიათებლათ—სთქვა მოლაპარაკემ—მოვიყვან ერთ ფაქტს: სხირტლაძეს ერთი მსუქანი კატა ყავდა. ეს კატა მისი ცოლის უპირველესი გამრთობი იყო მოწყენილობის დროს და რასაკვირველია კატა ცოლ-ქმარს ძლიერ უყვარდა. მაგრამ საუბედუროთ ერთ მშვენიერ დღეს კატა სადღაც გავარდა და დაიკარგა. მოსამსახურეები სხირტლაძემ კატის საძებრათ აქეთ-იქით გაგზავნ გამოგზავნა და რომ ვერსად იპოვნეს დაერია «ლაქიებს», ბევრი ლანძღა და ბოლოს კატის ფასი გადაახდევინა.

თავმჯდომარე. რამდენი გადაახდევინა?

ეგ სულ ერთია—სთქვა მოლაპარაკემ—რამდენიც გადაახდევინა. როგორც სხირტლაძეებს, ისე სხვებსაც რასაკვირველია, ჭურჭელზე და კატაზე ნიხრი დაწესებული არა აქვს, რამდენიც სასურველია, იმდენს ახდევინებს; კატა, როგორც ვსთქვი, ძლიერ უყვარდა და ალბათ ბლომათ გადაახდევინა, მაგრამ საქმე ამაში არ არის, საქმე იმაშია, რომ გაქცეული კატის ფასი «ლაქიებს» გადაახდევინა...

შემდეგ მოლაპარაკემ ნათლათ და ცხადათ დაასურათა თუ რა მდგომარეობაშია კერძო სახლებში მოსამსახურეები. გაკაპასებული დიასახლისი დილიდან საღამომდის ცხვირში სცემს მოსამსახურეს. მუდამ ჟამს გაიძახის: ეს დააქციეს, ეს დაამსხვრიეს, დამღუპეს, მთელი ჩემი ოჯახის ავლა-დიდება გაიტანეს, და საწყალ მოსამსახურეს კარში აგდებს...

(კრება ამ სიტყვებს ხანგრძლივი ტაშის კვრით მიეგება).

შემდეგ ბ. ნიკოლაძემ კრებას მიმართა და ურჩია, რომ შემდეგშიაც ასე დაჭსაქსულნი არ დარჩენ და ცხოვრების პირობები გაიუმჯობესონ, მათთვის აუცილებლათ საჭიროა კორპორაციის და ბიუროს დაარსება. აი ამ კორპორაციის საშუალებით თქვენ მჭიდროთ შეერთდებით და შეგეძლებათ აღებს ბრძოლა გაუწიოთ, ცხოვრება გაიუმჯობესოთ და სხვა. მაგრამ ამ კორპორაციის და ბიუროს დაარსება კრებამ არ მიღო [1]) და ბევრი დამამტკიცებელი საბუთი ბიუროს უვარგისობისა წამოაყენა, რის შემდეგ წაკითხულ იქნა სამნაირი შემუშავებული მოთხოვნილებანი: რკინის გზისა, სასტუმროებისა, რესტორანებისა და კერძო სახლებში მოსამახურეებისა.

მოთხოვნილებანი კრებამ ერთხმათ მიიღო და დაადგინა: 1) თუმცა რკინის გზის ბუფეტების პატრონები მზათ არიან დაკმაყოფილონ თავიანთი მოსამსახურები, მაგრამ სანამ ყველანი არ დაკმაყოფილდებიან, ერთი-ერთმანეთს არ უღალატონ და მუშაობას არ შეუდგენ. 2) სანამ დაჭერილ ამხანაგებს არ გაანთავისუფლებენ, არავითარ შემთხვევაში გაფიცვაზე ხელი არ აიღონ. 3) ეს პირველი და უკანასკნელი კრებაა, მოსალაპარაკებლათ აღარ შეიკრიბებიან, თავიანთი მოთხოვნილებანი აღებს წარუდგინეს და, სანამ არ დაკმაყოფილებენ, მუშაობას არ დაუბრუნდებიან. 4) მოთხოვნილებანი „ერთი წერტილის შეუცვლელათ“ უნდა დაკმაყოფილონ (ყველა ამ დადგენილებას კრება აღტაცებული ტაშის კვრით ეგებებოდა).

თავმჯდომარემ შესთავაზა კრებას, მოთხოვნილებანი წარადგინეთ და ვადა დანიშნეთ, თქვენ კი მუშაობას შეუდექით და, თუ ამ ვადაზე არ დაგაკმაყოფილებენ, ისევ გაიფიცენითო. მაგრამ კრება ამ რჩევას არ დაეთანხმა და დაიშალა.

საფრანგეთის ისტორიიდან

(1848)

I. ბურჟუაზიის გაბატონება.

„თუმცა ბურჟუაზიული საზოგადოება ვერაფერი გმირია, მარა მის დასაბადებლათ კი საჭირო იყო გმირობა, თავგანწირულობა, ტერორი, სამოქალაქო და საგარეო ომებიო“, ამბობს კარლ მარქსი.

და მართლაც, დიდი რევოლიუცია—ეს პირველი უდიდესი გალაშქრება თანამედროვე, ბურჟუაზიული, საზოგადოებისა ძველი, ფეოდალურ-აბსოლიუტური საზოგადოების წინააღმდეგ ვერ უნდა დასრულებულიყო საშინაო ბრძოლით.

---

[1]) სამწუხაროთ „ცნობის ფურცლის“ და „იველიის“ კორრესპონდენტებმა გამოაქვეყნეს, რომ ვითომც კრებამ ამ ბიუროს დაარსების სურვილი განაცხადა, სწორეთ ვერ გაგვიგია რამ შეიყვანა ეს კორესპონდენტები შეცდომაში.

ის წყობილება, რომელიც რევოლიუციამ ძირიანათ ამოაგდო საფრანგეთში, ერთიანათ ბატონობდა ევროპის დანარჩენ ქვეყნებში (გარდა ინგლისისა). ლუი მე-16 თავის მოკვეთამ შეაშფოთა ყველა მეფენი, რესპუბლიკის გამოცხადებამ შეანძრია ყველა ტახტები და—მათაც გადაწყვიტეს ფრანგების „ჰკუის სწავლება“. პრუსია, ავსტრია, რუსეთი თავს დაესხნენ საფრანგეთს, მოპოვებული თავისუფლების ძალათ ჩასაქრობათ და გაუქმებული მტარვალობის ასადგენათ. მაშასადამე რევოლიუციის გამარჯვება შინაურ მტერზე შესაძლებელი შეიქნა მაშინ, როცა ის გაიმარჯვებდა გარეშე მტერზე. თავისუფლება საჭიროებდა შეიარაღებას და მახვილის ამღებთა მახვილითვე განადგურებას. ძლევა-მოსილი მხედრობა, თავდადებული მეომრები—აი რესპუბლიკის ერთად-ერთი ფარხმალი. სარბიელზე გამოვიდა ნაპოლეონი და დაიწყო თავისი სახელოვანი ომები, მან შემუსრა იერიშით მოსული მტერნი, მოვლო ევროპა კიდით-კიდემდე, ააფრიალა ყოველგან თავისუფლების დროშა, განადიდა საფრანგეთის სახელი და მადლიერმა სამშობლომ ჯილდოთ იმპერატორობის გვირგვინი მიუძღვნა.

პირველ რესპუბლიკამ ზნეობრივათ შვა პირველი იმპერია. რევოლიუციის მიერ გამოწვეული ძალა დაუპირდაპირდა რევოლიუციასავე და შთანთქა მისი დაწესებულება. ნაპოლეონი მოწოდებული იყო ბურჟუაზიული საზოგადოება გაემეფებია ხმლის საშვალებით, ნამდვილათ კი ხმალი გაამეფა ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე. მუდმივმა მოლხენარობამ და საომართ ძზადებამ შეაფერხა ვაჭრობა-მრეწველობა, ფაბრიკა-ზავოდები და მიმოსვლა. სახნავ-სათესი მიწები უკაცობით გაველანდა, მეურნეობა მოუძლურდა, საგარეო ვაჭრობა დაეცა. ჯარში სამსახური სანატრელ ხელობათ გახდა. ამით ამაღლდა მხედარი და დაქვეითდა მოქალაქე, პატივი და წარჩინება მიენიჭა სარდალს, მოაკლდა ვაჭარს და მრეწველს. ხმლის არისტოკრატიამ დაამსხვრია ფულის არისტოკრატია და მათ შორის ჩამოაგდო განხეთქილება. იმპერიის არსებობის გაგრძელება აღარ შეესაბამებოდა ახალი საზოგადოების განვითარებას; პირ იქით, მას წინ ეღობებოდა და გზას უკრავდა და კიდევაც შედგა ბურჟუაზიის დიდი ოპოზიცია მის დასამხობათ. ამით ის ფაქტიურათ მიემხრო ძველი აზნაურობის ოპოზიციას, რომელიც ნაპოლეონს „მატრაკვეცათ“ თვლიდა და ისევ ბურბონთა გვარის გამეფებას ცდილობდა. ყოველ დიდი ომის წინ პარიჟში მზადდება შეთქმულობა და უცდიდა ნაპოლეონის დამარცხების ამბავს, რომ ის უტახტოთ გამოეცხადებინათ და მისი წყობილება დაენგრიათ. ბოლოს როგორც იყო, უძლეველი გმირი ძლეულ იქმნა და ომის ველზე მოპოვებული გვირგვინი ომის ველზე დატოვა. მის ორჯერ დამარცხებას (1814 და 1815 წ.წ) და მტერთა შეერთებული ჯარების პარიჟში ორჯერ შემოსვლას აღფრთოვანებით მიეგება როგორც ბურჟუაზია, ისე ძველი თავად აზნაურობა. ამათ როგორც გამარჯვებულთ წილათ ხვდა იმპერიის ნანგრევზე ახალი წყობილების აგება.

როგორი უნდა ყოფილიყო ეს წყობილება?

მაშინ როდესაც ბურჟუაზია რევოლიუციის ღვიძლი შვილია და მისი ბატონობა მოძრავი ქონების—კაპიტალის და ქალაქის ბატონობაა, თავად-აზნაურობა ერთიანათ ძველი წესის ნაშთია და მისი ბატონობა უძრავი ქონების, მამულის და სოფლის ბატონობაა. ამ ორი ბატონის ერთათ გაბატონება ნიშნავს სახელმწიფოს ორ მოპირდაპირე პრინციპზე დაყრდნობას, მის ორთავიანათ გამოცხადებას (დუალიზმი); ხოლო ერთერთის გაბატონება აუცილებლათ მოითხოვს მეორის დამორჩილებას და პოლიტიკურ ასპარეზიდან გარეკას. და აი თვითეული შეეცადა სახელმწიფოს ბორბლის თავის სასარგებლოთ ამოძრავებას. მაგრამ რადგანაც არც ერთი ეს ერთ განუყოფელ მთელს არ წარმოადგენდა, ამიტომ მათი ბრძოლა რთულდება და ხშირათ მათთვის სრულიად მოულოდნელ მიმართულებას ღებულობს. თავად-აზნაურობა იყოფოდა ორათ: პირველი, საშვალო და წვრილი აზნაურობა, რომელიც რევოლიუციის ქარტეხილს არ შეუშინდა, სამშობლოში დარჩა და ახალ წესს ასე თუ ისე შეეჩვია. ეს ცხადათ ხედავდა, რომ ძველი დროის აღდგენა შეუძლებელია და ცდილობდა ახალი დროის ცნობას, მის დაწესებულებათა ხელში ჩაგდებას და თავის იარაღათ მოხმარას. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თავად-აზნაურობის ბატონობა—აი მისი დროშა! სულ სხვას ელტვოდა ბრწყინვალე წოდების მეორე ნაწილი—არისტოკრატია, რომელიც საზღვარ-გარეთ გადაიხვეწა, უცხო მტერთ მიემხრო რის გამო რევოლიუციამ მამულები ჩამოართვა, ჩალის ფასათ გაუყიდა და ასე მან ყოველივე კავშირი სამშობლოსთან გასწყვიტა. ეს ემიგრანტები ახლა უკან დაბრუნდენ და თავისი მეთაური, თავმოკვეთილი მეფის ძმის, ლუი მე-18 მამა-პაპეურ ტახტზე აყვანით „დაკარგული სამოთხის“ დაბრუნებაზე ოცნებობდენ. ესენი არ სცნობდენ ახალ დროს, ახალ ცხოვრებას და პირდაპირ რევოლიუციის წინადროის აწმყოში გადმოტანას ახირებდენ. ამით ისინი იბრუნებდენ როგორც მამულებს, ისე პატივს და გავლენას.

მეორე მხრით, ბურჟუაზიამაც განიცადა შესამჩნევი ცვლილება. ის, დიდი რევოლიუციის დროს ჩვილი განუვითარებელი და დაბალ ხალხთან ერთათ ერთ ბანაკში მდგომი („მესამე წოდება“) და ამიტომ ისე რევოლიუციონერი, შემდეგ უკვე გალონიერდა, გამდიდრდა, ერის დანარჩენ ნაწილს გამოეყო და თავის ბუნებრივ ნაწილებათ დანაწილდა. მის შეძლებულ ნაწილს მეთაურობდა ფინანსიური არისტოკრატია, რომელიც ფულის აღებ-მიცემობით, განსაკუთრებით ბაზინის თავის მოვალე- გახთომით დიდათ გამძლავრდა. იმპერია მართალია მას უდიერათ ეპყრობოდა, ჩარჩათ თვლიდა, სამაგიეროთ მუდამ ფულის მისესხებით და ახლათ დაარსებულ „საფრანგეთის ბანკის“ მათ ხელში ჩაგდებით ხაზინა მის საწველ-ფურათ გარდაიქცა. და აი ბანკირებმა მოინდომეს ეკონომიურ ძალასთან ერთათ პოლიტიკური ძალის დაპატრონება და ამით თავის ქონებს კიდევ უფრო გაძლიერება. რა უფლებით უნდა მოეთხოვა სახელმწიფოს სათავეში ჩადგომა? რასაკვირველია, არა შთამომავლობითი უფლებით, ვინაიდგან ისინი იყვენ გუშინდელი ვიგინდარანი და თავისი მხნეობით, ნიჭით და მოხერხებით დაბალი საფეხურიდგან მაღალზე აწეულნი. მაშასადამე ისინი წინ წასწია პირად გამჭრიახობამ და საქმიანობამ. მათი აწმყო მათივე ხელით შექმნილია და არა შთამომავლობით გადმოცემული. და რადგანაც ეს უეჭველათ შესაფერ ნიჭს მოითხოვს, ამიტომ წამოაყენეს ნიჭის თეორია და საფუძვლათ დაუდვეს შეძლებულ ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოძღვრებას. ეს თეორია დაასაბუთა და განავითარა ცნობილმა ისტორიკოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ ფრ. გიზომ. ის წერს: თავად-აზნაურობის ბატონობა დაფუძნებულია შთამომავლობითი უპირატესობაზე, ე. ი. დაბადების უბრალო შემთხვევაზე. შეიძლება ბრიყვი ხარ, მარა რაკი კეთილშობილისაგან დაიბადე, ბატონი უნდა იყო. მეორე მხრით, ხალხის ბატონობა დამყარებულია „ადამიანის უფლებაზე“, ე. ი. რაკი ადამიანი დაიბადა—ბატონათ დაიბადაო, ესეც პირველივით «უფლებას აძლევს არა ნიჭს (capacité),

არამედ დაბადებას». აქიდან, არც არისტოკრატია, არც დემოკრატია—ამბობს გიზო და უპირატესობას აძლევს „ნიჭიერთ", ე. ი. იმათ, ვისაც თავის საქმიანობით და ნიჭით თავი დაუწყვიათ დაბეჩავებულ მდგომარეობისათვის და შეუქმნიათ ის საშვალო კლასად, რომელიც წარმოადგენს ერის ძლიერებას". ასეთი პირების დანარჩენებისაგან გამორჩევა და მათთვის წარმომადგენელთა არჩევის უფლების მიცემა შესაძლებლათ ხდის ჭეშმარიტი წარმომადგენლობითი მთავრობის შემოღებას. ეს არის მთავრობა არა უბრალო რიცხვის უმრავლესობისა, არამედ ნიჭიერთა უმრავლესობისა", ხსნის ის, ერთი სიტყვით, კაპიტალით შეძლებული კაცი, საზოგადოთ, ნიჭიერიც უნდა იყოს, თვარა ღარიბულ მდგომარეობისაგან ვერ გამოვიდოდა და რადგანაც მდიდარი მეტ პირდაპირ გადასახადს იხდის, ამიტომ საკმარისია საარჩევნო უფლება შეძლებულთ მიეცეს, რომ ნიჭიერთა გამოკრებაც სწორედ მოხდეს. მაშასადამე, კონსტიტუცია დიდი საარჩევნო ცენზით გვიხსნის როგორც თავად-აზნაურობის, ისე ხალხის ბატონობისაგან. აი ეს გამოცხადდა ლიბერალთა დოკტრინად (მოძღვრებად) და მისი მიმდევარნი დოქტრინერებათ. ასეთი კონსტიტუციური მოთხოვნილება წარუდგინეს ახალ მეფეს ლუი XVIII-ს გიზომ, ვუშემ და სხვებმა ბურჟუაზიის სახელით. რა უნდა ექნა მეფეს? პირველ ყოვლისა მას ეჭვირვებოდა დიდძალი ფული, როგორც ხაზინის ვალების და წაგებული ომების მილიარდზე მეტი კონტრიბუციის გასასტუმრებლათ, ისე თავისი მთავრობის შესანახად და ტახტის გასამაგრებლად. ხოლო ფული კი ბურჟუაზიას აქვს. მან გადასწყვიტა ბანკირთა ქისით სარგებლობა და სამაგიეროთ სახელმწიფოს მართველობის მათთვის გაზიარება. ბევრი მოლაპარაკების შემდეგ ბურჟუაზიამ და სასახლემ შეიმუშავეს პირობის ქაღალდი, დაარქვეს სხრტია და ბატონობა შემდეგ ნაირად გაიყვეს: ლუი მე-18-ე არის მეფე „მოწყალებითა ღვთისაგან"; მას ხელთ უპყრია აღმასრულებელი ძალა და ნიშნავს მინისტრებს; კანონმდებელია ორი პალატა: ზედა პალატის წევრთ ნიშნავს თვით მეფე სურვილისამებრ და მემკვიდრეობითაც; მათ ეწოდებათ პერები და ეძლევათ პენსია და ჯილდო. ქვედა პალატას ირჩევენ პირდაპირ გადასახადის გადამხდელნი, არა ნაკლების 300 ფრ. წელიწადში; არჩევა შეიძლება არა ნაკლებ 1000 ფრანკის გადამხდელისა წელიწადში; დეპუტატთ არავითარი ჯილდო არ ეძლევათ. თავისუფლება პრესის (გაზეთის გამოცემისათვის საჭიროა 48 ათასი ფრ. გირაოს წარდგენა), კრების, სვინიდისის, აკრძალვა გაფიცვის და სხ. აღდგენა ძველი თავად-აზნაურობის და ახალის ცნობა, ემიგრანტთა მამულების ჩამორთმევა და გაყიდვის კანონიერათ აღიარება

ამნაირათ აღსდგა ბურბონთა გვარის მეფობა, რასაც დაერქვა **რესტავრაცია** (აღდგენა), ხოლო მის მომხრეთ კანონიერნი—**ლეგიტიმისტები.**

როგორც ხედავთ, ტახტი და პერთა პალატა ჩაბარდა მეფეს და მის აზნაურობას, ქვედა პალატა და პრესსა შეუძლებულ ბურჟუაზიას. მთავრობა ერთ და იმავე დროს თავად-აზნაურულიც არის და ბურჟუაზიულიც. ამით თავად-აზნაურობამ ვერც ძველი წესი აღადგინა და ვერც ახალში გაბატონდა; ბურჟუაზიამ ვერც „ნიჭიერნი" გააუფროსა და ვერც არისტოკრატია მოიცილა. ეს არის ორი ბატონის ბატონათ გამოცხადება და ესეც ისე, რომ არც ერთს არ ძალუძს ცალ-ცალკე ბატონობა. ტახტი ვერ გამოცემს ვერავითარ კანონს დეპუტატების დაუკითხავათ, დეპუტატები ვერ გამოცემენ ვერავითარ კანონს ტახტის და მის პერების ნება დაურთველათ. მარა რადგანაც ამ ორი ერთმანეთზე მიკრულ ბატონის შინაგანი ბუნება სრულიად სხვა და სხვა ნაირია, აშკარაა პირველ შემთხვევისთანავე ცალ-ცალკე გაიწევიან და ერთმანეთს შეეჯახებიან. აქ ვითომ ძველი და ახალი წესის კომპრომისი, მოთანხმებაა, მოთანხმება, რასაკვირველია, ქაღალდზე, ნამდვილათ კი ეს მათი ბრძოლის დაკანონებაა.

და აი, როგორც კი ტახტმა ბანკირების წყალობით ვალები გადაიხადა, ნდობა მოიპოვა, უცხოეთის თვალში ამაღლდა, მთავრობა გაიმაგრა, თავად-აზნაურობა გაღონიერდა, მაშინვე თავი წამოყო და მოინდომა მართოთ ბატონობა. ემიგრანტებმა მოითხოვეს მამულების უკან დაბრუნება, ბერებმა ძველი პრივილეგიების აღდგენა, სამინისტროსაგან გაყარეს ლიბერალები (ვიხოდოს) და მათ ალაგას ჩაუყენეს რეაქციონერები. 1820 წ. სვინიდისის თავისუფლება მოსპეს. პრესსა შეავიწროვეს, საარჩევნო ცენზი ასწიეს, ამრჩეველთა სია თვითნებურათ შეადგინეს, არჩევნები ქრთამით და პოლიციის ძალდატანებით აწარმოვეს—აშკარაა ძალმომრეობა გამეფდა ხარტიის ერთმა ხელის მომწერმა დაარღვია პირობა და მეორეზე იერიშით მივიდა. ასე რომ 1824 წ. არჩეულ პალატაში მხოლოთ 18 ლიბერალი გაიდა, დანარჩენნი 412—რეაქციონერები. ამათ ბურჟუაზიაზე ჯავრი იყარეს იმით, რომ სხდომების გახსნის თანავე სახელმწიფოს ვალების სარგებელი 5 პროცენტიდგან 4-მდის ჩამოიყვანეს. ბურჟუაზია აღელდა და თან აიყოლია მთელი საფრანგეთი. ის გამოვიდა მთელი ხალხის ინტერესების დამცველათ და მოიწოდა ყველა ახალ ტირანიასთან საბრძოლველათ. გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია შეშინდა, ვაი თუ უკან მოგვთხოვონ ემიგრანტთა მამულებიო და მიემხრო ლიბერალებს. დეპუტატთა პალატაში შედგა ოპოზიცია გიზოს, ბანკირი **ლაფიტას,** მრეწველ პერიეს, ადვოკატი ოდილიონ ბარის და ჟურნალისტი **ტიერის** მეთაურობით. ამავე დროს პერთა პალატაში ოპოზიცია შეადგინა მეფის ახლო ნათესავმა ორლეანის ჰერცოგმა **ლუი ფილიპემ.** ყველა სასახლეშია ერთი ოპოზიციონერი ოჯახი. სწორეთ ასეთი იყო ლუი ფილიპე შთამომავლობით. ის იყო შვილის-შვილი ლუი მე-14 ძმის, შვილი პრინც ფილიპესი, რომელიც მიემხრო დიდ რევოლიუციას, უარ ყო ყველა ტიტულები, მიიღო სახელწოდება „ფილიპე თანასწორის", წევრი კონვენტის და მეფის სიკვდილის მომსჯელი.—ასეთი კაცის შვილი ნანატრი შეფი იყო ბურჟუაზიისათვის. თვითონ ლუი, ეს ძველი იაკობინელი, «პარიჟის მოქალაქის» სახელის მატარებელი არა მარტო ჩამომავლობით, არამედ კერძო ცხოვრებით და ნათესაობით ეკავშირებოდა ბურჟუაზიას (მუყარე იყო ლაფიტას). მისი მეცადინეობით პერთა პალატამ უარჰყო დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული პროექტი პროცენტების დაწევის შესახებ და მით დიდი სამსახური გაუწია ბანკირებს.

ამ ნაირათ ლაფიტი ქვედა პალატაში, ლუი ფილიპე ზედა პალატაში—აი ოპოზიციის წინამძღვარნი. 1825 წ. მეფე გადაიცვალა და გამეფდა მისი ძმა კარლ მე-10. ამან რეაქციონერობაში გაუსწრო თავის ძმას, აზნაურთა რეაქცია ალარ იხმარა და მთელი მთავრობა ბერებს გადასცა, რითაც დიდათ გააჯავრა საერო პირები. მან პალატებს გადააწყვეტია ერთი მილიარდი ფული ემიგრანტთა ოჯახის დასაირგებლათ „ჯილდოთ". ხაზინის ამ აშკარა გაძარცვამ ფეხზე დააყენა მთელი საჯარანგეთი. საიდუმლო საზოგადოებები შეუდგენ ტახტის წინააღმდეგ აგიტაციას (კარბონერები და სხვ.). შეთქმულობა

გახშირდა. პრესა, რომელიც ბურჟუაზიის ხელში იყო, საერო მილიცია, *) რომელიც უმთავრესათ ბურჟუაზიისაგან შესდგებოდა, მიემხრო ოპოზიციას. მთავრობამ დაშალა მილიცია, დენა დაუწყო პრესას. ტიერმა თავის გაზეთ „ნასიონალში“ ლუი ფილიპე წამოაყენა ტახტის კანდიდატათ, რისთვისაც სამართალში მისცეს. ბრძოლა გამწვავდა, და აი, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ბერების გაბატონებით უკმაყოფილო რეაქციონერები მოშორდენ თავის პარტიას და მოინდომეს რეაქციის დროზე შეჩერებით რევოლიუციის თავიდგან აცილება. ისინი მიემხრენ ოპოზიციას, 1830 წ. არჩევნებში რეაქცია დამარცხდა. 2 მარტს 221 დეპუტატმა წინააღმდეგ 187-სა რეაქცია დაგმო და მეფეს ადრესით უსაყვედურა «თქვენი მთავრობა კონსტიტუციის წინააღმდეგიაო». პასუხათ მთავრობამ პალატა დაბადა, მარა ახალ არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციამ. აირჩიეს ისევ ის 221 პროტესტანტი და კიდევ ახალიც მიუმატეს. რაკი კანონიერი ზომებით მთავრობა დამარცხდა, მან მიმართა უკანონო ზომებს. 26 ივლისს მეფემ «უქაზით» გააუქმა მთელი ხარტია, მოსპო კონსტიტუცია და თავის ქეიფისამებრ შეუდგა მართვას. მრავალი გაზეთები დაიხურა. უსაქმოთ დარჩენილ ასოთ ამწყობებმა დემონსტრაციები მოახდინეს და აჯანყების დროშა ააფრიალეს. ჟურნალისტთა პროტესტის გამოცხადებისათვის 11 გაზეთის რედაქციის დასახურავათ გაექანა პოლიცია, რომელიც თანამშრომლებმა სროლით მიიღო. რედაქციების კარებთან ბრძოლა გაჩაღდა. საიდუმლო სჯოგადოებები მოვიდენ მოძრაობაში და თან აიყოლიეს მუშები. 28-ს დილას პარიჟს გამოეღვიძა ბარიკადებში, რომელთა მეთოფენი იყვენ სტუდენტები, ხელოსნები, მუშები, ნაპოლეონის ჯარის კაცები და სხვა. და აი როცა ქუჩაზე სისხლი იღვროდა, ბურჟუაზიული ოპოზიცია გიზო-ლაფიტის მეთაურობით ლაფიტისას თათბირობდენ, რა ვქნათო! პროლეტარიატი სრულებით არ ფიქრობდა იმაზე, თუ მთავრობის დაცემას რა წყობილება უნდა მოყოლოდა. ამაზე ზრუნვა მან ერთიანათ ლიბერალებს მიანდო, თვითონ კი დაკმაყოფილდა «შაი მუშაობით», პოლიციასთან შეტაკებით, ჯარების დაბარკებით და საბჭოს აღებით. ხოლო როცა მეორე დღეს მთავრობას მოშორდა ორი პოლკი და აჯანყებულთ მოემხრო, ტუილერის სასახლე აიღეს და გამარჯვებულნი ლაფიტისას დაბრუნდენ თავისი სურვილის გამოსაცხადებელათ, მარა აქ ლიბერალებს უკვე შედგენილი ჰქონდათ კონსტიტუციის გეგმა და მოხერხებულათ შეუდგენ მის ასრულებას. ხალხს ნება მისცეს ქუჩაზე ბრძოლის, რევოლიუციის მოხდენის, მაგრამ როცა მან ლაფიტის და მეფის მოციქულის მოლაპარაკებაში ჩაერია და ერთხმათ იგრიალა, არ გვინდა ბურჟუაზიაო, ამას ნება კი აღარ დართეს და შეეცადენ ამ ახალი მეტოქის პირველანდელ მდგომარეობაში ჩაბრუნებას. შეშინებულმა ოპოზიციამ შეადგინა „მუნიციპალური კომისია“ საზოგადო წერილების დასაცველათ და „საკუთრების უზრუნველ საყოფათ“. ის დაეპატრონა პოლიციას, პარიჟის მთელ მართველობას და მოიწოდა შეიარაღებული მუშები; „ყოჩაღ მუშებო, დაბრუნდით თქვენ-თქვენ სამუშაოზეო“. ამავე დროს მათ დასაწყნარებლათ გაიმართა «იელისის მსხვერპლთა» სასარგებლოთ ხელის მოწერა.

დაეპატრონა რა ასე ქუჩას, ბურჟუაზია შეუდგა სახელმწიფოს დაპატრონებასაც. მისი აზრით, რევოლიუციის მიზეზი იყო მასთან შეკრული პირობის მეფის მიერ დარღვევა, ხალხი გამოექომაგა მას და პირობას შემშლელი გახაძევა, რაიცა ნიშნავს ბურჟუაზიის თავის უფლებებში აღდგენას. ეს აღდგენა უნდა მოხდეს თანახმათ მისი პროგრამისა, რომლის მუხლი ამბობს: არც არისტოკრატია, არც დემოკრატია, მხოლოთ ბურჟუაზიული მონარქიაო. საჭირო იყო მეფეთ ისეთი კაცის გამოყვანა, რომელსაც შთამომავლობით ამის უფლება ჰქონოდა და იმავე დროს მის მანტიის მფარველობა—კაპიტალისტებს ხალხის ყველაზე თავისუფლათ შესძლებოდათ, ერთი სიტყვით, საჭირო იყო ბურჟუა-მეფე, ბურჟუა თავის შეხედულობით, ცხოვრებით, კავშირით, მეფე სისხლით და ნათესაობით. ასეთი იყო მხოლოთ ერთათ ერთი—პერთა ოპოზიციის ლიდერი, პრინც ლუი ფილიპე, და აი, გიზომ, ტიერმა, ლაფიტმა და სხ. ჩუმათ დაითანხმეს ის მეფობაზე, გამოსცეს შესაფერი პროკლამაცია და სანამ ბურბონთა მოძულე ხალხი გონს მოვიდოდა, ეს უმცროსი ბურბონი დიდის ცერემონიით შემოიყვანეს პარიჟში და საბჭოში ქვეყანის მეთაურობა ჩააბარეს. ამასთანავე საჩქაროთ მოიწვიეს კარლის მიერ დაშლილი პალატა, სადაც რეაქციონერები შიშით არ გამოცხადდენ, ე. ი. მოიწვიეს თაისი მომხრე 241 დეპუტატი. მათ სხდომას უწოდეს პალატა და ერთხმათ ლუი ფილიპეს გვირგვინი მიუძღვნეს. ამით მათ აღადგინეს ხარტია და ასე ნაჩქარევათ, ერთ დამეს ქვეყანას კონსტიტუცია მიანიჭეს. შეძლებულმა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, როგორც რეაქციაზე, ისე რევოლიუციაზე. მან შეასრულა გიზოს პოლიტიკური პროგრამა.

აქედან ცხადია, რომ ივლისის რევოლიუცია (სადაც 5300 რევოლიუციონერი მოკლეს თუ დაჭრეს) იყო საქმე შეუგნებელ უმრავლესობის შეგნებულ უმცირესობის მეთაურობით, რითაც შესაძლებელი შეიქნა ხალხისვე დახმარებით ხალხზევე გაბატონება. პროლეტარიატი აბობოქრდა მხოლოთ მაშინ, როცა სახელოსნოებში სამუშაოზე უარი უთხრეს და კრიზისის გამო ულუკმა პურით ქუჩაზე გამოისროლეს. მისმა ახმაურებამ—სამართალი, სამუშაო—შეაშინა ბურჟუაზია და პალატამ გიზოს წინადადებით სამი მილიონი ფული გადადვა უსაქმოთათვის საქმის გასაჩენათ. ეს წინადადება გიზომ ასე დაასაბუთა: „შრომა კაცის ლაგამიაო“! მუშებმა სიამოვნებით აიდვეს ეს ლაგამი და პოლიტიკური ასპარეზიდან გავიდენ.

ან.

(შემდეგი იქნება).

*) მოვაგონებთ მკითხველს, რომ საერო მილიცია ანუ ხალხის შეიარაღება შექმნა 1789 წ. მირაბოს წინადადებით, საერო კრებამ წინააღმდეგ მეფის ჯარისა და რევოლიუციის მისგან დასაცავათ. 1790 წ. კანონით მხედრობა მხოლოთ საგარეო მტერს უნდა ებრძოლოს, საერო მილიციამ კი თავისუფლების საშინაო მტერთ (რეაქციონერთ). მილიციის ბაირალათ გამოცხადება: თავისუფლება, წესიერება!

რედ.-გამომც. ა. ბ. როსტომაშვილა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го апрѣля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.